განყოფილების მიერ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ თვეებშივე გატარდა შემდეგი პოლიტიკური კამპანიები: მასურად აღინიშნა I მაისი, საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის დღე, მოსახლეობას განმარტა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიზნები და მათ მოქმედებას მიეცა დახასიათება; თესვის კამპანია, მიწის საკითხებზე საუბრები, ლენინის წერილების ფართო განმარტებები საქართველოს და ა/ე კომუნისტებისადმი, წერაკითხვის უცოდინარო-



ბის ლიკვიდაციის შესახებ, მესამე ინტერნაციონალის შესახებ, სასურსათო გადასახადის შესახებ, კამპანია ვოლგის მხარის დამშუღლთა დასახმარებლად, გლეხთა დახმარების კვირა, პარტიის განმტკიცების ორგანიზაციული და სხვა<sup>4</sup>.

თავის მუშაობის პირველ პერიოდში განყოფილება ცმაყოფილებოდა, უმთავრესად, იდეური ხელმძღვანელობით, ე. ი. იმუშავებდა თუზისებს, სცემდა პლაკატებს და ფურცლებს. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ საჭირო იყო წმინდა ორგანიზაციული ნაბიჯების გადადგმა. ამიტომ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება ხშირად ქმნიდა ამა თუ იმ პოლიტიკური კამპანიის ჩამტარებელ კომისიას, ან თვით ატარებდა საჭირო საორგანიზაციო სამუშაოს. დაწყებული III კომუნისტური ინტერნაციონალისადმი მიძღვნილი კამპანიიდან განყოფილება არ დაკმაყოფილდა მასრებში თუზისებისა და დაბეჭდილი ლოსუნებისა და პლაკატების გავსებით, არამედ ავსაწვინდა იქ პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც უნდა ჩატარებიათ სათანადო კამპანიები ადგილებზე, მიეცათ სათანადო ინსტრუქცია, სიტყვებით გამოსულიყვნენ დიდ მიტინგებზე და სხვ.

განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდა პარტიის განმტკიცების ორგანიზაციული დაგვირგობით. ამ ორგანიზაციული მათგარი თემების თუზისები, მაგალითად: კომპარტიის შორიგი ამოცანები, კომპარტიის როლი და მნიშვნელობა, საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება, საბჭოთა აღმშენებლობის პრინციპები, პარტიული დისციპლინა, პარტია და საბჭოთა ხელი-სუფლება, პარტია და უპარტიოები, პარტია და პროფკავშირები, რუსეთის კომპარტიის ისტორიის საკითხები — დამუშავებული იყო ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ და გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის „უწყებებში“<sup>5</sup>.

დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა ამ პერიოდში პროპაგანდისტული კადრებისა. ამ ნაკლებობის ლიკვიდაციასათვის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ 1921 წ. ივნისის დასაწყისში გაიხსნა ცენტრალური პარტიული სკოლა 100 კურსანტით.

იდეოლოგიური და მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას ხელს უშლიდა სათანადო ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე. ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა ყოველთვიური ჟურნალის გამოცემა, სადაც უნდა გამოქვეყნდოდა საპარტიული ცხოვრების, იდეოლოგიური მუშაობისა და სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის საკითხები. ასეთ ჟურნალად გახდა საქ. კ. პ. (ბ) ც-კის ყოველთვიური „უწყებები“, რომელიც 1921 წ. მაისიდან იწყებს გამოსვლას ქართულ და რუსულ ენებზე. გარდა ზოგადი სახელმძღვანელო წერილებისა ჟურნალში იბეჭდებოდა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თუზისები და მასალები სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების გატარებაზე, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშები, ცრკულარები და ინსტრუქციები, კონსულტაციები სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაზე, ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები და სხვ.

იდეოლოგიურ მუშაობას, კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას აძლეობდა მუდმივი და მჭიდრო კავშირის უქონლობა ადგილებთან. ადგილებზე არ იყო დამთავრებული



ლევან მხეიძე შესვენება

მუშაობის საორგანიზაციო ხანა. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება თითქმის ყველა სამაზრო კომიტეტთან იყო შექმნილი და გამგებად ყველგან სამაზრო კომიტეტის წევრები მუშაობდნენ. გარდა გორისა, ლენჩხუმისა და თბილისისა, სადაც აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებათა თამგებებზე შეთავსებით მუშაობდნენ, რაც სათანადო კადრების უყოლობით აიხსნებოდა, ზოგიერთი განყოფილება არ იყო ქვეყანაყოფილებად დაყოფილი, რაც აძლეობდა მუშაობის გაშლას.

1921 წ. მთვე ნახევარში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასიურ-პოლიტიკურ აღმზრდელი მუშაობა მასრებში. გაუმჯობესება დაეტყო სააგიტაციო პროპაგანდისტულ მუშაობასაც. მაგ. გორის მასრაში სამი თვის განმავლობაში (მაისი, ივნისი, ივლისი) ჩატარდა 24 ლექცია, 31 რეფერატი და საუბარი, 67 მიტინგი, 79 კონცერტი და სპექტაკლი. გავრცელდა 1848 ბროშურა, 1780 ფურცელი, 8270 ცენტრალური გაზეთი, მოეწყო 4 კლუბი, 8 ქიხსამკითხველო, 2 წიგნსაცავი, სხვადასხვა კულტურული დაწესებულება. თელავის მასრაში ჩატარდა 5 ლექცია, 18 რეფერატი და საუბარი, 30 მიტინგი, 4 კონცერტი და წარმოდგენა. გავრცელდა 541 ბროშურა, 497 ფურც-





ლი, 170 ცენტრალური გაზეთი, ქუთაისის მახრამი ჩატარდა რეფერატი და საუბარი 15, მიტინგი — 2, კონცერტი-წარმოდგენა — 8, გაგრძელდა ბროშურები 186, ცენტრალური გაზეთის 9239. ჩატარდა 10 შაბათობა. ბათუმის ოლქში მოეწყო 8 ლექცია, 5 საუბარი, 50 მიტინგი, გაგრძელდა ცენტრალური გაზეთი 11389, გაიმართა 2 შაბათობა. რაჭის მახრამი ჩატარდა ლექცია 1, მიტინგი — 2, კონცერტი-საქტაქალი — 4, გაგრძელდა 523 ბროშურა, 150 გაზეთი. ასახლების მახრამი ჩატარდა 11 ლექცია, 21 მიტინგი, გაგრძელდა 75 ბროშურა, 170 ცენტრალური გაზეთი<sup>8</sup>, თბილისში გაიმართა 200 მიტინგი, გაგრძელდა 15850 სახის ლიტერატურა — ბროშურა, 1200 ფურცელი, გაიმართა 2 შაბათობა.

სულ რესპუბლიკაში მიღებულ იყო გასანაწილებლად 12.147 წიანი, უმთავრესად პოლიტიკური ლიტერატურა. 1500 ბროშურა, 4000 ფურნალი, 14.110 ფურცელი, 2490 პლაკატი<sup>7</sup>.

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები და რესპუბლიკის სოფლის მდგომარეობა უკანახედა საქართველოს კომპარტიის მოავარი ყურადღება სოფელზე გადატანა. მისივე შრომა და მატერიალური კეთილდღეობის დაზოკიდებულება კომპარტიურ პირობებზე გულის მიწას უმოკრივებდა. ეს განაპირობებდა გლეხის კონსერვატიზმს, რაც ადვილი დასამდღევი არ იყო.

ამასთან საჭირო იყო ჩვენი პარტიის პოლიტიკა, მიმართული მასების წღობის მოპოვებისაკენ აგებულიყო მიწინააღმდეგეთა მტრული პოლიტიკის ბოლომდე გამოშვარავებისათვის. მენშევიკები ატარებდნენ რა ანტიკლასურ პოლიტიკას, ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მემანულებს, უფარისგლებობდნენ და მლიქვნლობდნენ მათ წინაშე. აწესებდნენ გლეხთა ფართო მასებისათვის აუტანელ პირობებს, აჩანაგებდნენ ღარიბ და საშუალო გლეხობას. საბჭოთა ხელისუფლება კი გლეხთა მასებს, ღარიბებსა და მცირე მიწიან გლეხებს დახმარებას უწევდა.

მენშევიკები ადვილებდნენ ეროვნულ შუღლს, აჩაღლებდნენ ძმამგველებ ომებს, კომუნისტური პარტია კი იბრძოდა ხალხთა ინტერნაციონალური გამკურთხეთრობის გაძლიერებისათვის, ენათა თვითამორტკვევის ღენინური პროგრამის განუხრევი განხორციელებისათვის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის გაღვივებისათვის.

საქართველოს კომპარტიის მასიურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც უტარდებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რესპუბლიკაში წარმატებით გაიშალა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ამ მხრივ დიდი მუშაობა კვლავ წინ იყო, რადგანაც წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობაში საერთოდ და კერძოდ ასოგაზრდა თაობაში საკმაოდ შესამჩნევი იყო. მაგალითად საქართველოს მოსახლეობაში 18-დან 40 წ. ასაკამდე აღრიცხულ 2.023.263 კაციდან წერა-კითხვის უცოდინარი იყო 369.036. აქედან 37.832 ქალაქში მცხოვრები. წერა-კითხვის უცოდინართა საერთო რაოდენობიდან და-

საგლეთ საქართველოში ცხოვრობდა 48,1 პროცენტად<sup>9</sup>, საგლეთ საქართველოში 51,9 პროცენტი<sup>8</sup>.

საბჭოთა ხელისუფლება ყველა ზომებს იღებდა ამ მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, ხსნიდა მოღვევებიან კურსებს, სკოლებს, სახალხო განათლების განვითარებისათვის სულ უფრო მეტ და მეტ თანხებს გამოყოფდა. ატარებდა ღონისძიებებს კულტურული რევოლუციის გასატარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად, რაც ნაკარნახევი იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებში, სახალხო მუყურნების უწარაფესი აღდგენისა და შემდგომი განვითარების, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების ამოცანებში.

1921 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თუხისები ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ.

იმვე დღეს თბილისის პარტიული ორგანიზაციის ორითასიანი საქალაქო კრება ისმენს ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენებას და ერთხმად აღიარებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების აუცილებლობას.

1921 წ. 25 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმს გამოატყდა გადაწყვეტილება ფედერაციის შექმნის ფორმებისა და ტექნიკის პრაქტიკული განხორციელების შესახებ და საჭიროდ ცნობს დაუკავშირების ფედერაციის შექმნის პროპაგანდა-აგიტაცია საბჭოების არჩევნების კამპანიაში. მეორე დღეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა შრომობს მხარი დაუჭიროს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლას ა/კ ფედერაციის შესაქმნელად<sup>9</sup>.

ამ პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური, საეგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მიმართული იყო ფედერაციის შექმნისათვის მასების დასარახმავად 1922 წ. 12 მარტს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულყოფილიან წარმომადგენლობის მიერ ხელშეკრებილი იქნა ხელშეკრება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების შესახებ.

ეს იყო ღენინური ნაციონალური პოლიტიკის ასალი გამარჯვების მკაფიო დემონსტრაცია.

საქართველოს კომპარტიის პირველ ლეგალურ ყრილობაზე (1922 წ. იანვარი) გაკრიტიკებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის მუშაობა. საამისო საფუძველზე კი იყო. შინაგანი უთანხმოების გამო 1921 წ. განმავლობაში ვერ მოხერხდა ყრილობის მოწვევა. არ გადაიჭრა მოწვევებულ უმნიშვნელოვანესი საკითხები.

1922 წ. 26-28 ივნისს შედგა საქართველოს კომპარტიის I სრულად საქართველოს პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხები. კონფერენციამ მოისინძინა თანამოხსენება მოსახლეობაში აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანების შესახებ და დასახა გაზული ღონისძიებები<sup>10</sup>. კერძოდ,



სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დარგში, ამ მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, პარალელურად ბოლომდე ამოფხვრისა და პარტიული ორგანოების განყოფილებების მკვინაშლური პროდუქტიულობის მიღწევისათვის. საქართველო ჩაითვალა პარტიული კომიტეტების აგიტაციო-პროპაგანდისტ განყოფილებებისა და პოლიტგანყოფილებების გაერთიანება. ამ გაერთიანებულ ორგანოს უნდა ჩაეტარებია ენერგიული მუშაობა, რომ ერთდროულ და სამუდამოდ მოესპო მუშებისა და გლეხების პოლიტიკური და ტექნიკური უკოდინარობა. კონფერენციამ კურსი აიღო იქითგან, რომ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობაში მეტი ყურადღება მიექცეოდა მუშაობის სიღრმეს და მთავარი საკითხების მიღება ორიენიანლური და ნათარგმნი ლიტერატურის გამოსაცემად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი წლებსავე ნათელი გახდა, პოლიტიკური ლიტერატურა თითქმის არ არსებობდა ქართულ ენაზე. ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდისტ განყოფილებამ შეისწავლა საგამომცემლო სასაბჭოთაო საქმის დაყენების საკითხები და ცენტრალური კომიტეტს წარუდგინა კონკრეტული მოსაზრებანი. სახელმწიფო გამომცემლობის ფაქტიურ ორგანიზაციად საქირო იყო სასწრაფო წესით თვით განყოფილების მიერ სათანადო პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემა და კიდევ მოხერხდა გამოცემა ვ. ი. ლენინის ნაშრომისა, „სასურსათო ვადასახადის შესახებ“, ი. ბ. სტალინისა — საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, პარტიის პროგრამა და სხვა მრავალი ლიტერატურა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ინტელიგენცია, მიიღო ქართველი მუშების სახელით მოითხოვეს ვ. ი. ლენინის თხზულებათა ქართულ ენაზე დაუყოვნებლივ გამოცემა და ამით გამოსატყვეს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ლენინის მოძღვრებისადმი. ეს სურვილი ჩამოყალიბდა განათლების სახალხო კომისარიატის წერილობით საქართველოს ცაკისდმი.

1923-1925 წლებში საქართველოში მასიური ტირაჟით გამოდის მარქსისა და ენგელსის ნაწარმოები „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ქართულ ენაზე ითარგმნა ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, დაიწყო თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მასების კომუნისტურად აღზრდისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნაში.

დიდი მუშაობა წარმოებდა ნაციონალურ უმცირესობას შორის მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სერიოზული მუშაობა გაიმართა აგრეთვე ქალთა შორის. ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილება სცემდა ორკვირულ „ფურცელს“ ქართულ ენაზე. ასეთ

ფურცლებს ბეჭდვდნენ დიდილობრივი გაზუთებიც; გამოვიდნენ ქალთა მოძრაობისადმი მიძღვნილი წიგნები, უმთავრესად ნაძაგინისა თარგმნი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ატარებდნენ პროფკავშირები, რომლებიც გაერთიანებულ იყვნენ საწარმო პრინციპებზე აგებულ 21 პროფკავშირულ ორგანიზაციაში. 1921 წ. ივნისში მოწვეულ პროფკავშირის პირველ კონფერენციას არჩეულ იქნა საქართველოს პროფესიული კავშირის საბჭო.

მასიურ ორგანიზაციული მუშაობა გაიანჯღ აგრეთვე საბჭოებმა, რომლებმაც ამ ხანებში უკვე დაამთავრეს ორგანიზაციული პერიოდი. ყველგან სამაზრო კომიტეტის წევრები შედიოდნენ აღმასკომების შემადგენლობაში და პირიქით. პარტიული ორგანიზაციები თავის ხელმძღვანელობის საბჭოებისადმი ანხორავდნენ პარტიული ფრაქციების საშუალებით. სულ უფრო მეტად ირასმებოდნენ მასები საბჭოების გარშემო და აქტიურად მონაწილეობდნენ სამეურნეო და კულტურულ ღონისძიებათა გატარებაში, საბჭოთა ხელისუფლების აღცავში.

როგორც ყველაფერში ისე ორგანიზაციული კულტურულ მასობრივი მუშაობის გატარებაში პარტიის უახლოესი თანაშემწე იყო კომკავშირი, რომლის საქმიანობას უწლიდა ხელს ის, რომ კომკავშირში წერა-კითხვის უკოდინარობა რაოდენობა 40%-ზე მეტს შეადგენდა<sup>11</sup>. კომკავშირის მუშაობის საკითხებს მივხედვას სპეციალური ფურცლები გაზუთ „კომუნისტის“ და მატება. პარტიამ კომკავშირს დაუსახა ამოცანა მეტი ენერგიით ემუშავა ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, საავტაციო-პროპაგანდისტული და პოლიტ-საგანმანათლებლო საქმიანობა აეყვანა მოწოდების სიმაღლეზე. კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებდა იდეურ ბრძოლას მემარჯვენე — ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, „ახალგაზრდა მარქისტებთან“, იბრძოდა თავისი წევრების იდეური გამოწრობისათვის.

კომუნისტური პარტიის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღებისათვის პარტიულმა პრესამ დიდი როლი შეასრულა. ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მან ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს პარტიული პრესის ტირაჟი დიდი არ იყო, პრესის გავრცელების საქმეში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს, მოყოლებულა გაზუთების იდეური დონეც, გაზუთები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ საერთაშორისო მოვლენებს, ვიდრე ქვეყნის შიგნით დემომაზრობის საკითხება, მერთალად აშუქებდნენ პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მნიშვნელობის საკითხებს. ცუდად შეუქმდებოდა მარტების ცხოვრებაც. აღნიშნულ თემებზე მოთავსებულ წერილებსა და კორესპონდენციებს ზოგჯერ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. წარმოებდა მხოლოდ ფაქტების მოწოდება ყოველგვარი ანალიზისა და განხილავების გარეშე.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში უგებდნენ 9 ყოველდღიურ, 3 ყოველკვირეულ, 2 ორკვირეულ გაზუთს, 1924-1925 წლებში კი გამოდიოდა 15 გაზუთი, აქედან ქართულ ენაზე ცხრა<sup>12</sup>.

1921-1923 წ. წ. საქართველოში საგამომცემლო მუშაობის



საქართველოს  
თავისუფალი  
საქართველო

ეწეოდა მრავალი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაცია. არსებობდა გამომცემლობანი საქ. კ. ბ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან, თბილისის კომიტეტთან, ქუთაისის სამაზრო კომიტეტთან, ბათუმის კომიტეტთან, ფოთის, სენაკის, სიღნაღის სამაზრო კომიტეტებთან და აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან. არსებობდა გამომცემლობა აგრეთვე ა/კ საოლქო კომიტეტთან. 1924 წ. ოქტომბრამდე ყველა გამომცემლობამ გააშისცა 678 სახელწოდების წიგნი და ბროშურა, რომლის საერთო ტირაჟი უდრიდა 2.359.360 ეგზემპლარს, აქედან ქართულ ენაზე 537 სახელწოდების წიგნი 1.978.760 ეგზ. ტირაჟით, რუსულ ენაზე გამოიცა 124 სახელწოდების წიგნი 357. 650 ეგზემპლარი ტირაჟით, სხვა ენებზე დაბეჭდილია 17 სახელწოდების წიგნი<sup>13</sup>.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და სახელმწიფო გამომცემლობა. პირველმა 1924 წ. ოქტომბრამდე ქართულ ენაზე გამოსცა 103

სახელწოდების წიგნი და ბროშურა 265. 500 ტირაჟით. საქართველოს ენაზე 15 სახელწოდების 30.000 ტირაჟით. სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა 285 სახელწოდების წიგნი და ბროშურა 1.267.700 ეგზ. ტირაჟით. აქედან ქართულ ენაზე 236 სახელწოდების 1.163.500 ეგზ. ტირაჟით, რუსულ ენაზე 32 სახელწოდების 71.250 ეგზ. ტირაჟით. გარდა ამისა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე გამოვიდა 17 სახელწოდების წიგნი 22.950 ეგზ. ტირაჟით.

ამ სამუშაოზე რომ წარმოდგენა გვეწოდეს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მწვეწვავების ბატონობის წლებში სულ გამოცემულ იქნა 280 სახელწოდების წიგნი და ბროშურა 600.000.000 ეგზ. ტირაჟით.

საქართველოს კომპარტიის მიერ გატარებული ასეთი ღონისძიებები მშრომელთა წიგნიერებისა და კულტურული ღონის ამადლება ემსახურებოდა, პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას აძლიერებდა.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ი ბ ი:

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტი. არქივი, ფ. 14, აღწერა 1, ნაწ. 1, საქმე 209, ფურცელი 67-76.

<sup>2</sup> იქვე, საქმე 37, ფურცელი 16.

<sup>3</sup> საქ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უწყებები. 1921 წ. ოქტომბერი, № 6, გვ. 12.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, № 2, 3.

<sup>6</sup> იქვე, № 5, 1921 წ. გვ. 42-43.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>8</sup> სკვპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 17, აღწერა 16, საქმე 318 ფ. 174-175.

<sup>9</sup> საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი II, 1963 წ. გვ. 23-24.

<sup>10</sup> გაზეთი „პრავდა გრუზიის“ 1922 წ. ივნისის № 404-ის დამატება.

<sup>11</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, აღწერა 1, ნაწილი 1, საქმე 67, ფურცელი 122-124.

<sup>12</sup> სკვპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 17, აღწერა 16, საქმე 318, ფ. 175-176.

<sup>13</sup> მასალები საქ. კომპ. პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა მე-4 ყრილობისათვის, საქ. კ. ბ. (ბ) ც-ის გამოცემა, თბილისი, 1925 წ. გვ. 247-248.



მამია ახობაძე  
წარსლის მოგონება



სცენა რუსთაველის  
თეატრის სპექტაკლიდან  
„რევია“



## რევოლუციური იდეალების თეატრი

ნინო შვანგირაძე



ქტომბრის რევოლუციის თემატიკაზე შექმნილმა რეპერტუარმა თეატრი აქცია მაყურებლის არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების, არამედ მისი პოლიტიკურად აღზრდის კერადაც. ამ მიმართებით რუსთაველის თეატრმა ისტორიული როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის იდეების პროპაგანდის საქმეში. თავისი სპექტაკლებით თეატრი მაყურებელს აცნობდა, თუ როგორ იზრდებოდა და იწრთობოდა ბრძოლებში კომუნისტური პარტია, კერძოდ ჩვენში, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია როგორ რაზმავდა მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართველი ხალხისათვის თეატრი ყოველთვის წარმოადგენდა დიდ ტრინუნას, რომელიც თვითმპყრობელობის პირობებშიც კი ასერსებდა ყოფილიყო მოწინავე, პროგრესული აზრების გამტარებელი. თეატრი იყო ადგილი, სადაც მტკიცედებოდა ხალხის იმედი უკეთეს მომავალზე, საიდანაც ვრცელდებოდა განმათავისუფლებელი იდეები. ათეული წლების მანძილზე ქართულმა თეატრმა შეიმუშავა მტკიცე საზოგადოებრივი ტრადიციები და ხალხის პოლიტიკურ გათვითცნობიერებაში საგრანობი როლი შეასრულა.

1921 წელი. საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო ეკონომიკისა და კულტურის დარგში. არც თეატრი წარმოადგენდა გამონაკლისს. საჭირო გახდა სასწრაფო ღონისძიებების გატარება, რათა თეატრის შემოქმედების ფართო საშუალება მისცემოდა.

პირველი და მთავარი ღონისძიება მდგომარეობდა იმაში, რომ ქართული თეატრი სახელმწიფოში აიყვანა თავის მზრუნველობაში და ამით მას არსებობის მტკიცე, მატერიალური საფუძველი შეუქმნა. თეატრი გადაიქცა ხალხის პოლიტიკური აღზრდის მძლავრ იარაღად.

იმავე წლის 25 ნოემბერს ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. ამავე დროს დასმნი ჩაირიცხა ყველა მსახიობი, ვისაც კი ქართულ სცენაზე ზედიზედ სამი წელი მაინც ემუშავა. მათ შორის იყვნენ როგორც ძველი, სახელმწიფოებრივი, ისე ახალი თაობის ნიჭიერი შემოქმედნი, მაგრამ რადგან თეატრში თავი მოიყარეს სხვადასხვა შემოქმედებითი სკოლისა და მსოფლმხედველობის მოღვაწეებმა, მუშაობა ვერ აეწყო ისე, როგორც ამას ქვეყნის ახალი პირობები მოითხოვდა. თეატრი კვლავ საზოგადოების ყურადღების გარეშე რჩებოდა.

1922 წელს ქართულ თეატრში მოვიდა კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც რუსთაველის თეატრის გაძლიერების დიდად საპასუხისმგებლო საქმე იკისრა. ამ დიდასა და მრავალმხრივ ხელეოვანს ამ დროისათვის უკვე საყოველთაო აღიარება აქონდა მოპოვებული.

კოტე მარჯანიშვილმა მოახდინა ქართული თეატრის რეფორმა, რისი დასტურიც ცნობილი პიესის „ცხვრის წყაროს“ პრემიერა იყო.

ამ ისტორიული წარმოდგენით ქართულმა თეატრმა ახალი იერი მიიღო, დარბაზი ახალმა მაყურებელმა დაიპყრო. კოტე მარჯანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოვიდნენ ახალ-





აკაკი ხორავა —  
შეანალია  
(„რეღვევა“)



და სხვა მსახიობებს, ესენი იყვნენ: ვერიკო ანჯაფურაძე, თამარ ტაყაყაძე, უმანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, შალვა ღამბაშიძე და სხვები, რომლებიც შემდეგში საბჭოთა ქართული თეატრის წამყვანი ძალები გახდნენ და მის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს.

ძველი თაობის მსახიობებიდან კი დასწი იმყოფებოდნენ: ვასო აბაშიძე, ვიქტორ გამყარლიძე, ნიკო გვიციჩიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო და გიორგი დავითაშვილები, ნატალია ჯავახიშვილი, ტასო აბაშიძე, ელენე დონაუერი, ცაცა ამირეჯიბი, სანდრო ფორთოლიანი, ხოლო რეჟისორებად კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, სანდრო აბმეტელი, აკაკი ფაღავა, მიხეილ ქორელი.

კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით და საბჭოთა ხელისუფლების მხარუნელობით თეატრმა მონაზა ძალები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ფართო შემოქმედების გზაზე გამოსვლა.

თეატრი უკვე გამოდიოდა იდეური დაცემულობისა და უიმედობის ჩიხიდან. წინ მას განახლების დიდი გზა ესახებოდა, რასაც კოტე მარჯანიშვილი დიდი ოქტომბრის რევოლუციას უმაღლოდა. „დიდი ოქტომბრის რევოლუციამ და ახალმა სულმა, — წერდა მარჯანიშვილი, — რომლითაც ახლა მთელი ქვეყნიერება მოცული, თეატრს დაუბრუნა შემეცნებითი მნიშვნელობა, ქმედითობა, აქტიურობა, რიტმი. თავისი სახლეჩებიდან მან განდევნა ყოველგვარი გულგარული ფოტოგრაფიულობა...“

...თეატრი ისმის ახალი მაჯისცემა, იგი ჯანბრთვლდება და დღეს იწეება თუ ხვალ ორივე ფეხზე წამოდგება. ჩვენ სიხარულით ველოდებით ამას...“

მთელს ამ პერიოდში კოტე მარჯანიშვილის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა ახალგაზრდა სანდრო აბმეტელი, რომელმაც შემდეგში რუსთაველის თეატრის განვითარებაში, მისი შემოქმედებითი ძალების ჩამოყალიბებაში გადაწყვეტილი როლი შეასრულა.

კოტე მარჯანიშვილიდან ერთად დაიწყო სანდრო აბმეტელმა ქართული საბჭოთა თეატრის შენება. მარჯანიშვილისაგან შეითვისა მან ყოველივე ძვირფასი და მნიშვნელოვანი ახალი თეატრის შესაქმნელად. იგრძნო რა სოციალისტური ქვეყნის მაჯისცემა, თავისი იდეური მრწამსით მტკიცედ დადგა საბჭოთა პოზიციებზე და მის მხატვრულ ასახვას მონაწილე მთელი თავის ნიჭი და ენერჯია.

თავისი არსებობის პირველი წლებში რუსთაველის თეატრი ჯერ კიდევ ძველი რეპერტუარით სარგებლობდა („ვიღრე ახვალ“, „ედმონდ კინი“, „მადამ სან ენის“, „ორი ჯობიერი“, „სალომეა“), ამავე დროს მიმართავდა იმეამად არსებულ ძირითად ორიგინალურ დრამატურგიას (შალვა დადიანის „გარამი“, ნიკო შიუკაშვილის „სიმხანჯე“, სანდრო შანშიაშვილის „როდამი“), — მიმართავდა იმდენად, რამდენადაც კოტე მარჯანიშვილი თეატრის განვითარებას ეროვნული დრამატურგიის გარეშე შეუძლებლად მიიჩნევდა. მაგრამ აღნიშნული სპექტაკლები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ სიახლეს, არ გამოიჩინებდნენ ფორმის სიძნობელებს. მცირე გამონაკლისს მხოლოდ ერთი-ორი პიესა თუ წარმოადგენდა.

გაზრდები ანთებული თვალებით, ენთუზიასტები, რომლებიც თეატრში ემბედნენ არა ფიზიოლოგიურ განცდებს, არამედ ზეიმს და აზრის საზრდოს. „ცხვრის წყაროთი“ კოტე მარჯანიშვილმა საბოლოოდ დაამკვიდრა ჩვენში ე. წ. სინთეტური თეატრი.

„ცხვრის წყარო“ იყო საბჭოთა ეპოქის ის პირველი ქართული სპექტაკლი, რომელმაც ბევრი საიმედო ძალა გამოავლენა, იგი იყო საფუძველი იმ ურყევი გადაწყვეტილებისა, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა მიიღო, სახელდობრ ნიჭიერ აქტიორულ ძალებზე დაყრდნობით დაეწყო ქართული საბჭოთა თეატრის შექმნა.

თეატრში მთავარი ადგილი დაეთმო ახალგაზრდობას, იმეამად თბილისში არსებული ჯაბადარის სტუდიიდან მოსულთ

„ნაზრო“





თანამედროვეობის ამსახველი, ორიგინალური საბჭოთა დრამატურგიის უკონოლობის გამო თეატრი ძირითადად იყენებდა უცხოურ, რუსული და ქართული კლასიკურ დრამატურგიის ზოგიერთ ნიმუშს (შექსპირის „ვინძიის ცეცქები“, მოლიერის „განაზარებული მდაბიო“, სინგის „გმირი“, გიორგი ერისთავის „გარანა“, დიდი კლდიაშვილის მოთხრობიდან ინსცენირებული „სამანოშვილის დღინაცვალა“), მაგრამ ამ რეპერტუარის გვედით იგი მიმართავდა თარგმნილ ექსპრესიონისტული ხასიათის პიესებსაც (ფერდელის „შვიულ მენში“, ტოლერის „აკაცი მასა“, კაიზურის „გაზი“), რაც იმის საშიშროებას ქმნიდა, რომ მერყევი აღმოჩენილიყო თეატრის იდოლოგიური ხაზი და იგი ფორმალისმისა და ბურჟუაზიული ესთეტიკის რისხი მომწყვდეულიყო.

საბჭოთა მაყურებელი კი მოიხიზდა ეპოქის შესატყვის რეპერტუარს, მოითხოვდა ამოძრავებელი მასების აქტიურობას, როგორც განვლილი სამოქალაქო ომების, ასევე თანამედროვე სოციალისტური მშენებლობის თემატიკის მაღალ მხატვრულ განსახიერებას. ახალი მაყურებელი ისწრაფოდა თავისი თეატრის სცენაზე დაეხაზა საბჭოთა ადამიანის სახე, მისი ყოფა, გმირული ბრძოლა, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობანი. ამ საქმეში მთავარი როლი უნდა შეესრულებია საბჭოთა დრამატურგიას, რომელიც ის ის იყო მხოლოდ ფეხს იდგამდა, ეს კი დიდად აფერხებდა ახალი თეატრის წინსვლის ტემპს. ასეთ პირობებში კვლევა მარჯანიშვილმა ისევ უცხოურ კლასიკურ დრამატურგიის მიმართა და არჩევანი „კამლიტზე“ შეაჩერა, რაც განაორციელა კიდევაც 1925 წელს.

ეს სპექტაკლი მოვლდა იყო არა მარტო რუსთაველის სახელობის, არამედ საერთოდ ქართული თეატრის განვითარებაში. რუსთაველის თეატრმა თავისი მაღალმხატვრული სპექტაკლებით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. იგი სრული აღორძინების გზაზე დადგა. ხალხი ეცნობოდა იმ ღონისძიებათა ბრწყინვალე შედეგებს, რომლებიც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული თეატრალური კულტურის ასაღორძინებლად მიიღო.

ოთხი წელი იმუშავა კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში და ფართო შემოქმედებით გზაზე დააყენა იგი. მის დავალებს უზარმაზარია საერთოდ ქართული საბჭოთა თეატრის და კერძოდ რუსთაველის თეატრის შექმნაში. მარჯანიშვილის დამსახურება ამ მხრივ ეპოქალურია, იგი სამართლიანად ითვლება ქართული თეატრის რეფორმატორად. ფუძემდებლად.

1925-26 წლის სეზონიდან რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგა სანდრო ამბეტელი.

თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე დაწერილი ორიგინალური პიესების უკონოლობის გამო რუსთაველის თეატრმა მიმართა თარგმნილ საბჭოთა დრამატურგიას. მან ხელი ჩასწია რუსულ საბჭოთა პიესებს, რომლებიც ასახავდნენ ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

თეატრის პირველი ღონისძიება ამ მხრივ ა. გულბოვის რეჟისორული შინაარსის პიესის „ზაგმესკი“ თარგმნა და დადგმა იყო 1926-27 წლის სეზონში. ეს სპექტაკლი ერთგვარ საფუძვრს წარმოადგენდა მის ცხოვრებაში, იგი მოასწავებდა

მკვეთრ შემობრუნებას რევოლუციური თემატიკისაკენ. თვალსაზრისით რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი მიიპოვა იმავე სეზონში განხორციელებულმა ბილ-ბელვეგრეოვსკის პიესამ „საქუე მარცხენა“.

რუსთაველის სახელობის თეატრს არც შემდეგ სეზონში რუსული საბჭოთა დრამატურგიისაკენ ადგილი ჰქონდა (ჯონ რიდის მიხედვით „ლორეანოვიჩის პიესა „ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყანა“, ვენცეიანოვის „ჯუმა მამიდი“). თეატრს თავის რეპერტუარში შეეჭადა და ახორციელებს სწორედ დიდი ოქტომბრის თემატიკაზე შექმნილ, რევოლუციური მუხნებარებით სავსე პიესებს — „ორვევა“, „ანზორი“, „ლიანდაგი გუგუნებს“, „ქათა ქალაქი“.

ბ. ლაგრენვის „ორვევა“, რომელმაც შემოქმედების ფართო გზაზე გამოიყვანა რუსთაველის თეატრი, დაეკვირვებოდა რუსული საბჭოთა რეალისტური დრამის შექმნასთან. ადამიანმანია, რომ ამ პიესამ მამივე კოფა გამოძახილი ქართულ საბჭოთა სცენაზე, ისევე როგორ „ჯავნოსანმა 14-69“ ამავე თეატრში. ეს ფაქტი მოწმობს იმას, თუ რაოდენ ურთიანრი ინტერესები გააჩნდათ რუსულ და ქართულ საბჭოთა თეატრებს. აკაკი ხორავამ სწორედ ამ პიესაში გაავალონა პირველად თავისი არტიკული სახე, პიესის გმირმა — ბერსენევმა აპოინინა მას შემოქმედებითი გზა.

სანდრო ამბეტელის მიერ განხორციელებული ეს სპექტაკლი რუსთაველის თეატრის ისტორიაში შევიდა ბრწყინვალე გამარჯვებულ, რაც განაპირობა ისტატურად ორგანიზებულმა მასობრივმა სცენებმა და რევოლუციურმა მუხნებარებამ.

„ორვევა“ ასახავდა სამოქალაქო ომის ქართველს, მასების რევოლუციურ სულისკვეთებას და მათი გამარჯვების პერსპექტივას. საბჭოთა თემატიკასთან ასეთ ორგანულ მისვლას პრინციპული მნიშვნელობა ჰქმნიდა რუსთაველის თეატრის განვითარებისათვის.

სპექტაკლის წარმატება ბევრად განსაზღვრა სრულყოფილი სცენური სახეების შექმნა. აკაკი ხორავას ბერსენევი და უშანიე ჩხვიძის გოდუნი ქართული აქტიორული შემოქმედების ნიმუშებს წარმოადგენდნენ. რუსთაველის თეატრიდან უშანიე ჩხვიძის წასვლის შემდეგ გოდუნის შესანიშნავი შემსრულებელი აღმოჩნდა ელვუჯა ლორთქიფანიძე.

იმ გამარჯვების შემდეგ, რაც სპექტაკლმა „ორვევაში“ მოუტანა რუსთაველის თეატრს, ბუნებრივ იყო, რომ მას უნდა დაეცვა და განეციოთარებინა ეს ოდერ-მხატვრული გეზი. ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო „ანზორის“ დადგმა.

ცნობილია, რომ 1927 წლის მოსკოვის სამხატვრო თეატრში პირველად დაიდგა ესეველი ივანოვის „ჯაგმოსანი 14-69“. იგი გადმოაკეთა დრამატურგმა ს. შანიაშვილმა „ანზორის“ სახელწოდებით. სამხატვრო თეატრის სპექტაკლმა გარდატეხა მოახდინა არა მარტო თვით ამ თეატრის ცხოვრებაში, არამედ საერთოდ მოვლეს საბჭოთა თეატრში.

პიესის ქართულად გადმოკეთების იდეა სანდრო ამბეტელს ეკუთვნოდა. მართალია, ამბეტელს მიანდა, რომ რუსული და სხვა ეროვნული თეატრების განვითარების საფუძველი ეროვნული დრამატურგია უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც იმ ხანებში ჯერ კიდევ გზას იკვლევდა ქართული საბჭოთა დრამატურგია,



ქართველთა  
წიგანთა კავშირი



უმანგი ხეივნი —  
გოლვინი  
(„რღვევა“)

ნავად ჩაფიქრებულმა და ბრწყინვალედ გადაწყვეტილმა სკან-სტრუქციებმა, ქართულ დეკორაციულ ხელოვნებაში ნამდვილი ეპოქა შექმნა.

ამ სპექტაკლის შესახებ 1930 წელს გაზეთ ივესტიაში ცნობილი ამერიკელი მწერალი სტრონგი წერდა: „ანზორის“ მესამე მოქმედება თავისი დრამატუზმით და არქიტექტონიკით ისეთ სიმაღლეს აღწევს, როგორც მსოფლიო სცენაზე არ მი-ნახავს. ალტაყელი ვარ. ჩემი საუკეთესო თეატრალური შთა-ბეჭდილებები მოსკოვში რუსთაველის თეატრისა“.

ახალი, ეროვნული სასცენო ფორმის ძიებასთან ერთად რუსთაველის თეატრს არ შეუწელებია ცდა, რათა სცენაზე აეტანა ქართული დრამატურგია. იგი კომპრომისზეც კი მი-დიოდა და ზოგჯერ სუსტ ორიგინალურ პიესებსაც დამდა. ამ ეტაპზე თეატრი სცენას უთმობს რუსულ საბჭოთა დრამატურ-გიას, რომელიც უკვე მტკიცე ნიადაგზე იდგა და გააჩნდა იდე-ურად და მხატვრულად გამართული არა ერთი პიესა. თე-ატრმა თარგმნა და ზედისეფ დადაგა კირშინის „ლიონდაი გუგუტებს“ და „ქართა ქალაქი“, იარცვეის „ღვარძლი“, სლა-ვინსკის „პროტესტი“.

წარბატება ხვდა თეატრის მიერ 1933-34 წლის სეზონში დადგმულ სლავინის პიესას „ინტერვენცია“.

სპექტაკლში მოქმედებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები — ერევოლუციის ჯარისკაცები და არისტოკრატია, ბურ-ჟუაზიის ნაშთები, კაპიტალისტური სისტემის მსხვერპლნი.

სანდრო ამბეტლის ეს საინტერესო სპექტაკლი ნათელ წარმოდგენას იძლეოდა იმ დაძაბულ და სამართლიან ბრძო-ლაზე, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ეწეოდნენ ჩვენი ქვეყ-ნის საზღვრებში შემოჭრილი ინტერვენტო წინააღმდეგ.

მასში ბევრი ისეთი აქტიორული სახე შეიქმნა, რომელმაც წინმშეგლოვანი გაამდიდრა მსახიობთა შემოქმედებითი ბოლ-რაფია. ასეთი იყო მაგალითად გიორგი დავითაშვილის ბოლ-შეგვი ბროცკი, ელეგუა ლორთქიფანიძის ბონდარეკო, რუ-სუდან ბერიძის სანკა, ნინო დავითაშვილის ქვიდასი, აკაკი ვასაძის სულესტანი. მაგრამ მაყურებლის განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვია აკაკი ხორავამ, რომელმაც სენეგალელი ალის უსიტვივი როლიდან დადგმედ დაუვიწყარი სახე შექმნა, და თვანე აბაშიძემ, რომელიც დიდი აქტიორული ოსტატობით ასრულებდა ფილკას როლს.

წინმშეგლოვანი როლი შეასრულა აგრეთვე შალვა დადა-ნის ისტორიულ-რევოლუციურმა პიესამ „ნაპერწყლიდან“, რომელიც აკ. ვასაძემ დადაგა 1937 წელს (მხატვ. ირ. გამრე-კელი, მუსიკა რ. გაბიჩავის).

პიესას საფუძვლად ისტორიული სინამდვილე ედო. მან გადასმალა მუსთა კლასის გმირული ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელი — ბათუმის მუშების რევოლუციური გამოსვლები.

სპექტაკლი მაღალმხატვრული სახეებით აცნობდა მაყუ-რებელს, თუ როგორ იზრდებოდა და იწრებოდა საქართვე-ლს ბოლშევიკური ორგანიზაცია, როგორ რაზმავდა სტალინი მუშებს ფიზიკურბოლომის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ გმირულ სპექტაკლში, რომელშიც იგრძობოდა ეპოქის მხურვალე სუნთქვა, მონაწილეობდნენ აკ. ვასაძე, აკ. ხორავა,

იძულებული გახდა დაეშვა გამდიოქართულების პრაქტიკა. ახმეტელი სამართლიანად აცხადებდა, რომ ქართული თეატრი უნდა დაიპყროს ეროვნულმა დრამატურგიამ, ხოლო იგი თა-ნამედროულებს უნდა გამოხატავდეს.

„ანზორის“, ისევე როგორც „რღვევა“, თავისი მნიშვნელო-ბით ისტორიულია არა მხოლოდ რუსთაველის თეატრის, არა-მედ საერთოდ ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში. ამ სპექტაკლებით, რუსთაველის თეატრი გასცდა ეროვნულ ზღუ-დებს და საკავშირო თეატრალური ხელოვნების ფართო ასპა-რეზე გავიდა, კავშირის მოწინავე თეატრების რიგებში ჩადაგა.

„ანზორის“ რუსთაველის თეატრის უდიდესი მიღწევა იყო. მან საბოლოოდ განამტკიცა პირველი ქართული საბჭოთა თე-ატრის, რუსთაველის თეატრის სახელი. ამ სპექტაკლმა ნათელ-ჰყო, რომ საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალიზმისათვის შე-იძლებოდა გამდიოქმულიყო კონკრეტულ ეროვნულ სახეებში.

სპექტაკლში მთიელი პარტიზანის კოლორიტული სახე შექმნა აკაკი ხორავამ, რომელმაც დიდი უშუალობით გადმოს-ცა საშუალო გლეხის ტრაგედია, მისი პათოსი და შეუბღალა-ვი რაინდული სული. ამას დაუვიწყარი სახე წარმოადგინეს ვასო გომიასვილი და აკაკი ვასაძემ. ამ როლით მათ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს. მსახიობმა გიორგი სარ-ჩიშვილიძემ ჩინელი პარტიზანის ეპიზოდური, მაგრამ ისეთი ძლიერი სახე შექმნა, რომ იგი დღემდე დაუვიწყარია. მუსიკა სპექტაკლისათვის, რომელიც კომპოზიტორმა ვანო გოგიელიმ დაწერა, დიდი მოწონებით სარგებლობდა და შემდგომ ხალხ-ში სასიმღეროდ გადავიდა.

„ანზორის“ მხატვარ ირაკლი გამრეკელის მიერ შესანიშ-



მ. გელოვანი, გ. საღარაძე, ფ. ჭანტურია. მათ თავიანთი მასალი აქტიორული ოსტატობით გააცოცხლეს ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსულის გმირული ეპიზოდები.

ოქტომბრის რევოლუციის გმირული დღეების დრამატულ ასახვას წარმოადგენდა ნ. პოპოვის „თოფიანი კაცი“. გ. ი. ლენინის როლი დაცვისრა თეატრის ერთ-ერთ ნიჭიერ მსახიობს დ. შვაჯიას, რომელიც დიდი პასუხისმგებლობის გრძობით მოექცადა ამ როლულ საქმეს.

ასალგაზრდა მსახიობი დ. ხუციშვილი პირველად გამოვიდა ისეთ პასუხსაგებ როლში, როგორც ივანე შარდინის როლი. მსახიობმა ნათლუყო თავისი აქტიორული მონაცემების საინტერესო მხარეები, დასატა სახე რუსი გლეხისა, რომელიც რევოლუციის ორომტრიალში მოხვდა და მისი ცხოველმყოფელი გავლენის ქვეშ მოექცა.

გ. დავითაშვილმა უხვად გამოიყენა თავისი მდიდარი სცენური გამოცდილება, ნიჭიერება და მუშა ჩიზისოვის დამაჯერებელი სახე მოგვცა. მსაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებდა ემ. აფხაძის მუზღღვარნი დიმოვი.

სპექტაკლში ჩაბმული იყო თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი, მათ შორის: გ. საღარაძე, სტ. ჯაფარიძე, მ. ჩიხლაძე, ივ. ჯავახიშვილი, რ. ბერიძე, თ. თუმოშვილი, ალ. აფხაძე და სხვები. სტალინის როლი შესარულა ასალგაზრდა მსახიობმა ა. კობალაძემ. მსაყურებელი შეუჩვენებელი ინტერესით ადევნებდა თვალუკრს ამ ქუმმარტიად კარგ სპექტაკლს.

სამაჟლო ომის მყარ წლებში თავისი შემოქმედებითი უნერგია თეატრმა იქითენ მიმართა, ხალხის კეთილშობილური პატრიოტული გრძობები უფრო გაღვივებია, გამარჯვების რწმენა განმტკიცებია. რეპერტუარში პირველ რიგში ისეთი პიესები შეიტანა, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა არმიის თავდადებულ ბრძოლებს სამაჟლო ომის ფრონტებზე, ანდა წარსულში ხალხის გმირულ ბრძოლებს. ამ პერიოდში დაიდგა ვანიონ დარასელის „კიკვიძე“, რქეშვაგისა და კაცის „ოლეგო დუნდინი“.

ა. ვასაძის მიერ დადგმულმა ამ სპექტაკლებმა მსაყურებლის წინაშე გააცოცხლეს სამოქალაქო ომის გმირები, რომლებიც თავს სწირავდნენ სამშობლოს. თეატრმა შესწოლო მოქანახა შესაფერი მეტყველი საღებავები, რათა მსაყურებლისთვის ეწეფნებია რევოლუციის მამოძრავებელი ძალები, პარტიის ზოლი საბჭოთა ადამიანების რევოლუციური შეგნების ჩამოყალიბებაში, გმირული ეპოქის მღღღვარე ეპიზოდები.

სპექტაკლ „კიკვიძის“ ლინსება ის იყო, რომ მასში დამაჯერებლად, რეალისტურად აისახა საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სამოქალაქო ომის ქარკვებლში გამოჭედილი მათი ურღვევი მეგობრობა. გ. კიკვიძის შთამაგონებელი სახის შექმნისათვის ავ. ვასაძეს მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. იმავე პერიოდში ამ როლს მსახიობი სტ. ჯაფარიძე ასრულებდა, წმღმღვი კი იგი დიდი აქტიორული ოსტატობით განასახიერა ასალგაზრდა მსახიობმა კ. მახარაძემ.

„კიკვიძე“ რუსთაველის თეატრის მნიშვნელოვანი გამარჯვება, ნამდვილი პატრიოტული სპექტაკლი იყო, რომელიც

„მსაყურე თეატრები“



სამამულო ომის დღეებში მსაყურებლის საბრძოლო განწყობილებას ესმინებოდა.

1950 წელს მიხელ თუმანიშვილმა დადავა ვს. ვინწვსვის „დაუვიწყარი 1919 წელი“. სპექტაკლში ყურადღების ცენტრში იდგა რევოლუციური და კონტრრევოლუციური ბანაკების ბრძოლა. ამ მიზნისათვის რქისორმა მიმართა ლაკონურ და გაბედულ მიზანსცენებს. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლში საინტერესო სცენური საღებვი შექმნეს ასალგაზრდა მსახიობებმა.

შობივეი იმ მუზღღვართა რიცქს გუუფთოდა, რომლებიც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში და რომელთა კლასიკური სახეები ჯერ კიდევ 30-იან წლებში შეიქმნა საბჭოთა დრამატურგიაში. მის წინამორბედებად რუსულ საბჭოთა დრამატურგიაში გვევლინებია: გოდუნი, შვანდია და ბრატისკა. ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი, შეუმცდარი ალლო საწინდარი იყო სამაგალითო რევოლუციონერისა — ასეთი იყო ასალგაზრდა მსახიობის დ. აბაშიძის მიერ განასახიერებელი მუზღღვარი შობივეი.

ამ ქუმმარტიად საინტერესო და მნიშვნელოვანი სპექტაკლის წარმოდგენიდან გავიდა მხოლოდ რამდენიმე დღე და თეატრმა უწევნა ახალი სპექტაკლი — ი. პოპოვის „ოჯახი“.

მსაყურებლის თვალწინ იმღღებოდა მღღღვარე ეპიზოდები ასალგაზრდა ლენინის ცხოვრებიდან, ეს იყო ოჯახი, სადაც დამკვიდრებული იყო ადამიანის სიყვარული, ყველაფერი გამსჭვალული იყო ჭუმნაწიხით. მსაყურებელი ეცნობოდა ლენინის მისწრაფებებს, ინტერესებს, მსოფლმხედველობას. ოჯახის დღდა მართა ალექსანდროვნა წარმოადგენდა რუსი ქალის შესანიშნავ სახეს, მის სულიერ სიღამაშეს და ხასიათის სიმტკიცეს. სპექტაკლო მსაყურებელში აცოცხლებდა დიდ:

„ამბავი ვორჟანაშვილისა“





ლენინის თანამებრძოლების, მისი — დების და უეფიწყარ რომან-ტიკულ სახეებს.

სპექტაკლის პირველი სცენიდანვე ჩანდა, რომ ნიჭიერ რეჟისორ დ. ალექსიძეს არ დაუზოვავს ენერჯია და სიყვარული გეროვნება და ფანტაზია იმისათვის, რომ შეექმნა შთამბეჭდავი მაღალმხატვრული პატრიოტული სპექტაკლი, რომელსაც დიდი შემეცნებით-აღმზრდველობით მნიშვნელობა ჰქონდა. «გი გვიჩვენებდა თუ სწავლისა და ბრძოლის როგორი სკოლა გაიარა ულიანოვმა, რათა მუშათა კლასის სათავეში ჩამდგარიყო და მისი ინტერესები დაეცვა.

ვლადიმერ ულიანოვის დაუეფიწყარ სახე შექმნა ახალგაზრდა მსახიობმა კოტე მხარაძემ. მან მაყურებელს გააცნო ახალგაზრდა გიმნაზიელის მდიდარი სულიერი ცხოვრება. მსახიობმა ამ სახეში შეიტანა დიდი სითბო, გვიჩვენა ახალგაზრდა ვალერიას კეთილშობილური თვისებები. მსახიობმა იგი დახატა, როგორც უაღრესად პრინციპული, უსამართლო-სასთან შეურაცხველი, მოსიყვარულე შეილი.

თ. ბაქრაძის და თ. წულუკიძის სცენურ შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მათ მიერ წარმოსახულმა მარიამ ალექსანდროვნას სახემ. მსახიობები კარგად გადმოსცემდნენ დედის შინაგან განცდებს, მის მდიდარ სამყაროს და კეთილშობილებას, ჭეშმარიტს, ხატავდნენ ადამიანს, რომელიც ხელს უწყობს შვილების საუკეთესო მისწრაფებებს.

«ოქტომისტური ტრაგედია», რომელიც 1958 წელს განახორციელა არჩილ ჩხარტიანი, მოწონა არა მარტო ქართულმა მაყურებელმა. მან მაღალი შეფასება მიიღო მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკაბრეც, ცნობილმა კრიტიკოსებმა აღნიშნეს რეჟისორული ჩანაფიქრის თავისებურება და მაღალი აქტიური ხელოვნება.

სპექტაკლში კომისარის როლის განმსახივრებელი ნინო ლაფაი მტკად მომზადებული და აღმავალი იყო.

თეატრი დაქინებით ეძებდა რევოლუციური სახიათის მშობლიურ დრამატურგიას, მას სურდა რაც შეიძლება მეტი სიცხადით, სიღრმით და მრავალფეროვნად გამოეხატა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრება, მისი გმირული წარსული, იმედები და ბრძოლა. ამაზე მეტყველებს რუსთაველის თეატრული პოლიკარპე კაკაბაძის ცნობილი პიესის «ყვარყვარე თუთაბერის» დადგმა. ქართული საბჭოთა დრამატურგიის ეს მტკად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწარმოები ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებიდან ხორციელდებოდა თეატრებში. თეატრმა მიიჩნია, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის თემაზე შექმნილი ამ კომედით გამამდირებდა თავის რეპერტუარს და 1959 წელს მისცა კიდევაც სცენური სიუჟეტზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ძნელი წლების ამსახველ და დიდებულ პიესას.

სპექტაკლის დამდგმელმა დიმი. ალექსიძემ არ დაუმორა თავისი მდიდარი რეჟისორული შესაძლებლობები, რათა თანამედროვეობის თვალთ დაეხანა ყავარყვარის სახე და შეექმნა იდეური და მხატვრულად კარგად შეკრული სპექტაკლი.

ეროსი მანჯავალაძემ ყვარყვარეს სახის განხორციელებით კიტეც ერთხელ დაადასტურა თავისი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი.

ვისაც ეს სპექტაკლი უნახავს, არ შეიძლება არ ახსოვდეს რამაზ ჩიჩიკაძის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული ეპიზოდური როლი — ჯარისკაცის მკაცრი გროტესკული სახე.

რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში, შესაძლოა, დიდი კვალი არ დაუნეგვია სპექტაკლს «ქარიშხალი» (რეჟისორი ლ. შირჭულავა). მაგრამ არ შეიძლება გვერიც ავუარათ მისი მნიშვნელობა. ს. კლდიაშვილის ეს პიესა მოგვითხრობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ინტელიგენციის ბედზე, იმ გადატარებულს, რომელიც მოხდა ქვეყანასა და ახალი ადამიანის მოთხოვნებდელობაში.

სპექტაკლში იყო არა ერთ აქტიორულად შესანიშნავი სახე: ს. ზაქარაიძის ჭაჭიაშვილი, გიორგი სალარაძის — პოეტური მოხეცი, ლ. დამაშვიძის გმირის მკვეერი სახათი. არ გვაიწყობს გურ. სალარაძის, გ. საკანდელიძის, ილ. საყვარელიძის, ნ. მარგველაშვილის და გ. გაბუნიას მიერ გამოყვანილი სახეები. ცხადია, ყოველი მათგანი ერთ დონეზე არ იდგა თავისი შესრულებით, მაგრამ ეს იყო ნამდვილი აქტიორული სპექტაკლი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი პერიოდი პოეტურად გამოხატა დრამატურგმა გ. კანდელაკმა პიესაში «ქართლის ჩირაღდება». მასში ნაწევრად თუ რა წინააღმდეგობებით მოიკვლევდა გზას ახალი, როგორ მძაფრად ურკინებოდა მას ძველი და წარძავალი.

სპექტაკლში, რომელიც დადგა დ. ანათემ, მაყურებლისათვის ნათელი ხდებოდა ის რთული ისტორიული პროცესები, რომლებიც ახალი სამყაროს შექმნისათვის მიმდინარეობდა. ისტორიულად განწირულ სამყაროსთან ჭიდილში იკავებდა გზას ახალი, იგი მკვიდრდებოდა ქართველი ხალხის ცხოვრების ყოველ უბანზე.

ოქტომბრის რევოლუციის პირმშომ, რუსთაველის თეატრმა გრძელი და სახელოვანი გზა განვლო. ქართული თეატრული კულტურის ისტორიაში მან არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა. არსებობს თითქმის ნახევარ საუკუნოვან მანძილზე გამოზრდა, მსახიობებსა და რეჟისორებსათა ერთად მოწინავეთა რიგებში ჩაყენდა სასახლო თეატრალური მხატვრები: ირაკლი გამრეკელი, დიმი. თავაძე, ფ. ლაპაშვილი, რომლებიც ნამდვილი თანაავტორები იყვნენ თეატრის ყველა დიდი მიღწევისა და ამ შემთხვევაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის თემატიკაზე შექმნილი დიდებული სცენური ნაწარმოებებისა.

რუსთაველის თეატრი დიდი მხატვრული ავტორიტეტის თეატრია. მას იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ამიტომ განსაკუთრებულ მოთხოვნებებს იჩენს ჩვენი მაყურებელი მისი ყოველი ახალი სპექტაკლია მიმართ, სიხარულით ხვდება მის ყოველ წარმეტყას.

# ჩვენი თანაგებლობის იერსახე

## ქართულ შერჩევაში

ლეილა თაბუკაშვილი

ლ

იდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში საქართველოს მხატვრებს შეუძლიათ კმაყოფილებით გადახედონ განვლილ გზას — ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განუხრელი აღმავლობის გზას. ეს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია იწყება მხატვართა მცირე ჯგუფის მოღვაწეობით, რომლებიც საძირკველს უყრიდნენ ახალ ხელოვნებას, ახალი კადრების სამგედლოს და გრძელდება დღეს, როცა ჩვენი მხატვრების დიდი კოლექტივის სიმდიერე მართო მის მრავალრიცხოვანობაში როდი იხატება — პირველყოვლისა ეს არის შემოქმედებითად მძლავრი კოლექტივი მრავალი ღრმად ეროვნული, თვითმყოფადი ხელოვანი.

ყოველწლიურად ემატებიან ამ კოლექტივს საკუთარი ხელოვნების, საფუძვლიანი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ასალაზრად მხატვრები, რომლებსაც თან მოაქვთ გაბედულეობა, ინდივიდუალური ხედვა. უფროსი და საშუალო თაობის ცნობილ ოსტატებთან ერთად ისინი წარმატებით გამოდიან არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო გამოფენებზე და სულ მალე იხსანებენ ფართო საზოგადოების აღიარებას.

ქართული სახვითი ხელოვნების რომელ დარგსაც არ უნდა გადახედოთ, არ შეიძლება არ შენიშნოთ, რომ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული შინაარსი, თემატიკა, ძირითადად ჩვენი თანამედროვეობაა. მით არის შთაგონებული დიდი თუ მცირე ფორმის ნაწარმოებები. და ეს, რასაკვირველია, კანონზომიერია. ჩვენი დღევანდლობის მძლავრი სუნთქვა, საბჭოთა ადამიანების გმირული ყოველდღიურობა ამოუწურავ მასალას აძლევს შემოქმედს ღრმასწროვანი, ემოციური ნაწარმოებების შესაქმნელად და ფუნჯისა და საჭრეოლის ოსტატებაც ისწრაფვიან მოძებნონ ახლებური საშუალებები თავიანთი თანამედროვეის სახის შესაქმნელად, მისი გმირული საქმეების მხატვრულად აღსაბეჭდავად.

თუ როგორი გასაღები შეარჩია მხატვარმა თემის გასახსნელად, ნაწარმოებები მაცურებელზე ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ მონუმენტური ელერადობით, თბილი ლირიზმით თუ რომანტიკული ზეაწვეულობით. და როცა ფორმის მშვენიერება ეხამება აზრის მშვენიერებას, შემოქმედი გამარჯვებას ზეიმობს. ამიტომაც მნიშვნელოვანი შინაგანი პოეტური აზრის შემცველი თუნდაც პატარა ტილო, დაზგური ფურცელი თუ მღადაკება ზოგჯერ უფრო ძლიერ იდეურ-სთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს მაცურებელზე, ვიდრე პოეტურ განზოგადებას მოკლებული, თუმცა პროფესიულად ძალზე გამართული მასშტაბური ტილო. თუ გადახედვით მხატვართა უკანასკნელი პერიოდის შემოქმედებას, შეიძლება შევარჩიოთ მრავალი

დიდი თუ მცირე ფორმის კმნილება, რომლებშიც სიმაართით, ღრმა შთაგონებით, ტიპურის და დამახასიათებლის მახვილ ხაზგასმითაა ასახული სინამდვილის სხვადასხვა მხარეები. ჩვენი ცხოვრების ყოველი უბანი. თანამედროვე ადამიანის შრომითი გმირობა, მისი ყოვლისმძლე ძალა ბუნების გარდაქმნაში, ახლის შენებაში, ყოთა შინაგანი სულიერი კეთილშობილება — ყოველივე ეს აისახა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში, იქნება ეს საკოლმეურნეო თუ ინდუსტრიული პეიზაჟი, ვანრული ტილო თუ თემატური კომპოზიცია... თანამედროვეობის მახვილი გრძნობა განაპირობებს შემოქმედებით წარმატებებს, მეტყველი სახვითი ფორმების ძიებებს.

ბეგენ შველიძე

შოგანა





მაგრამ ძიებები ყოველთვის როდია წარმატებითი, ზოგჯერ ზერეულა ისევე, როგორც თვით იდეური ჩანაფიქრც უწინშენილთა ხოლმე. მაგრამ ეს არ არის არსებითი ხსიათის ნაკლი ქართველ მხატვართა შემოქმედებით პრაქტიკაში. მთავარი — ეს არის დიდი სიმართლისაკენ ლტოლვა და მასშტაბური ფორმების ძიება ამ სიმართლის გამოსახატავად. ეს ტენდენცია კი განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკანასკნელი ათწლეულის მან-

ძილზე, როცა ბევრმა ქართველმა მხატვარმა პაპო გუგუშვილი, ასალ სამულებებს მიმართა ჩანაფიქრთა ხორცშესხსმელად, გახშირდა სადა, ლაკონური ფორმებისა და დეკორატიულობისაკენ სწრაფვა, მეტი აზრობილი დატვირთვა მიეცა მათსი, ფერის გამომსახველობით ფუნქციას. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ყველა შემთხვევაში ამ ტენდენციებს წარმატება მოჰყვა, პირიქითაც, — როცა უარი თქვა ადრინდელ გზაზე, ზოგმა მხატვარმა ერთგვარად დაჰკარგა თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობიდან გამომდინარე თავისებურება, რაც მას საკუთარი ხმით გამოარჩევდა და ვერც მოახერხა გადატარა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მხატვრული ამოცანა. ყოველივე ამის გაანალიზება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამჯერად გვიინტერესებს ალენიწით მხოლოდ ის კარგი და დადებითი, რამაც ქართველ მხატვართა შემოქმედება მჭიდროდ დაახლოვა ხალხს, ცხოვრებას, რამაც ახალი მხატვრული მონაპოვრებით გაამდიდრა ჩვენი სულიერი კულტურა.

მალაქიძეები ოსტატები მუშაობენ ქართული სახეითი ხელოვნების ყველა დარგში. მათმა მრავალმა თვალსაჩინო ქმნილებამ საერთო აღიარება მოიპოვა. ხალხის ყოველდღიურ ყოფაში დაშვებულა ნაწარმოებები, რომლებიც მათ აჩვენებს შემოქმედის თვალთ შეხედონ ცხოვრებას, შეიცნონ ტემპირიტი მშვენიერება მის სრულიად უბრალო გამოფიქრებებში.

ბერე წარმატებას ითვისებენ ქართველი ფერმწერლები. თემატურ ტილოებში, პორტრეტებში, პეიზაჟებში თუ ეპიკურულ სურათებში მრავალმხრივად აისახა ჩვენი დღევანდელი მათა. ამასთან აისახა იმ შიშვეთ თავისებურებები, რასაც აპირობებს ხოლმე თვით ავტორის — შემოქმედის ინდივიდუალური ხედვა და აზროვნება, ხელწერის თვითმყოფადობა. რაოდენ განსხვავებულია ადამიტი და ფერწერულ ტილოებზე ჩვენი ცხოვრების გმირი შემოქმედი — მშრომელი ადამიანი, მის საქმეთა სიდიადე საქართველოს სახალხო მხატვრის რობერტ სტურუას მონუმენტურ ქმნილებებზე გვიხილავს სოფლისა თუ ქალაქის მშრომელთა პოეტურიებული, მიმზიდველი სახეები. მხატვარს აქვს უნარი ცოცხლად და მართლად, მთელი მათი ეროვნული თვისებებით წარმოსახოს, ამავე დროს რომანტიკული შეფერილობა მისცეს მის პერსონაჟებს, მთელ გარემოს, რომელშიც ამ პერსონაჟებს უხდებათ მოქმედება. ორიგინალური, მეტყველი კომპოზიცია, გაბედული რაკურსები, მოხდენილი ფერადონება — ყოველივე ეს მუდამ თავისებური სურნელებით გამოარჩევს სტურუასეულ ნაწარმოებებს. ასეთი იყო მისი ბოლოდროინდელი, 1961 წლის საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი სურათი „უხვი შემოდგომა“, 1965 წლის გამოფენაზე — „შვიდობის საღარაჯოზე“ ექსპონირებული „პირველი მაისი“, რომელშიც ახლებურად, თავისებური კუთხით გვიჩვენა მხატვარმა ადამიანების საზეიმო განწყობა.

თანამედროვე ცხოვრების გმირთა შთანამედროვე სახეები შექმნა გურამ გელოვანმა სურათში „ინდუსტრიის დილა“. ბოლო წლების ქართულ ფერწერაში ეს არის ერთ-ერთი მეტყველი ტილო, რომელშიც მხატვარმა სცადა ფართო განზოგადების ძალით წარმოესახა საწარმოო ფრონტის მშრომლები. მუშისა და მუშა ქალის მშლავრი ენერგიული ფიგურები მკა-



გურამ  
გელოვანი

ოქტომბერი  
დეკემბერი

ფიო სილუეტები და იკვებება ნათელი ცისა და შორს გაშლილი ინდუსტრიული პიკინას ფონზე. დილის რიგაზე ისინი ქარხნისაკენ მიმქარაან. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არა გამოარჩევს ამ ფიგურებს. მაყვარბელი მათ სახეებს ეფერება, მაგრამ გრძობის და ამიანების შინაგან შემართება, შრომის სიყვარულს, პროფესიით გატაცებას. ამ შეგრძობას ხელს უწყობს სურათის გმირთა გარემოცვა — განადიბული მოელვარე ზეცა და ქარხნის მიღების ცადაცხირიანი შორეული სილუეტები.

გურამ გელოვანი მონუმენტური განხრის საინტერესო მხატვარია. მისმა მრავალმა ტილომ ფართო საზოგადოების აღიარება მოიპოვა. ახალი გამარჯვება მოიპოვა მან სურათში „ოჯახი დუშეთიდან“, რომელიც რესპუბლიკურ, ხოლო შემდეგ საკავშირო გამოფენაზე — „მშვიდობის სადარჯაოზე“ იყო ექსპონირებული. ეს არის პოეტური ტილო უნარბი მშრომელ ადამიანებზე. ძალზე ორიგინალურად გადაწყვეტილი კომპოზიცია, თბილი, მსუეე კოლორითი, პერსონაჟთა ფაქიზი ფსიქოლოგიური დახასიათება და შესრულების მაღალი ოსტატობა განპირობებს ამ სურათის მხატვრულ გამომსახველობას.

საინტერესო ტილოები უძღვნეს ქართველმა მხატვრებმა მემსტკეების, სტუდენტების, მეფოლადების, სპორტსმენების, კოლმუხრნათა ცხოვრებას, მათ შრომით საქმიანობას, დახეუნებას. ბოლო წლების სამხატვრო გამოფენებიდან სახეთა განსვადობითა და პოეტურიზებით გამოირჩეოდა ჯ. თოთიძის „მეფეგები“, ლ. ბაიაჩქვიანი, „მეზაზიანი“, გ. თოთიძის „სტუდენტები“, ვ. ტორთაძის „მეფოლადები“ და სხვ. პორტრეტული კომპოზიციებში აღებულებ მხატვრებმა ჩვენს სახელოვანი შრომის გმირები, წარმოებისა და სოფლის მოწინავე ადამიანები, მეცნიერები და ხელოვანი...

დიდი სამამულო ომში გამარჯვების ოცი წლისთავს უძღვნეს ქართველმა მხატვრებმა თავიანთ ნაწარმოებების დიდი გამოფენა „მშვიდობის სადარჯაოზე“, რომელიც ამ ორი წლის წინ საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიმართა, ხოლო შემდეგ საუკეთესო ექსპონატები საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნა. ეს გამოფენა, რომლისთვისაც დიდხანს ემზადებოდნენ მხატვრები და რომელმაც ერთგვარად შეაჯამა სხვადასხვა თაობის მხატვართა შემოქმედებითი ინტერესების, ზეუნისა და ძიებების შედეგები ამ ეტაპისათვის, საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. მან ერთმელ კიდევ დაგვანახა, რომ ეს არის დიდი შესაძლებლობების კოლექტივი მრავალი თვითმყობადი ტალანტით. მთავარი ღირსება ამ გამოფენისას იყო, რომ ბევრმა ავტორმა ღრმად და ორიგინალურად გახსნა მშვიდობის თემა, გააფართოვა იგი, უშუალოდ დაუავსოა ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლის მოტივები. არა ომის საწინებებათა პლაკატური ჩვენებით, არამედ ადამიანის გმირული წოდებაუბობის მხატვრული ასახვით, მის ფსიქოლოგიური მოღვათის მიოპირო ყურადღებას ბევრმა ტილომ. სურათში „ერთი ერთზე“ ახალგაზრდა მხატვარმა ნ. თორდიაიმ სიმართლით დაგვიხატა პარტიზანთა ქალი — დიდი სამამულო ომის გმირი, რომელიც სრულიად შეგნებულად და გააზრებულად, თავისი სიცოცხლის ფასად სჭედდა სასტიკ ომში გამარჯვებას.

ბ. შველიძის ტილო კი ამ გმირთა სხვანა მხედვანა. სურათში „მოფინება“ მხატვარმა ნათელი ერთეული კოლორითი გადმოსცა ნაწარმოების პერსონაჟთა — სამი ჯარისკაცის, მოხუცი მამისა და დაღუპულის ძმის სულისკვებით, დიდებულ წუთები, რომლებიც გვაგზნობინებენ, რომ დაფიქვების ბურსი არასოდეს ფარავს ჭეშმარიტ ადამიანურ სიყვარულს, რომ მოგანების წუთებში ცოცხლებდას ძვირფასი სახეები...

სურათში „რუსთაველები“ ზ. ლევაგამ მშვიდობიანი შრომის გმირები დახატა. პლასტიკური ფორმის შერჩევის სკულპტურულ-გრაფიკული პრინციპი, ფოლადისფერი კოლორითი ხელს უწყობს ფოლადსა და რკინასთან შეტიდებული ამ ადამიანების სახეთა დახასიათებას.

ადამიანთა სულიერი სამყაროში წვდომით და მისი ახლებური კუთხიდან ჩვენების მისწრაფებით გამოირჩეოდა აბრეგენე მ. ანთიძის „ომის ტრაგედია“, ჯ. ცინფელიძის „აბრეგენე იმელი“, კ. იგნატოვის „კონცერტის შემდეგ“, ნ. მესხიძის „მამა“, ვ. ნარსიანის „დაბრუნება“. სამშობლოს თავადებულად დამცველთა სახეები გამოფენის ჯ. მიზაშვილის — „ისინი იბრძოდნენ სევასტოპოლისათვის“, ლ. ბაიაჩქვიანი — „გმირის დაბრუნება“ და სხვ.

ამ სურათებზე გამოხატული დღევანდელი ადამიანების ფსიქოლოგიაში მაყურებელი შეიცნობს მისთვის ახლობელს, გასაგებებს, შეივნობს საინტერესოდ, ახალღვლებლად. ეს შეცნობა მას ემხარება მეტი ინტაქტიურობა და ავკვირდეს ცხოვრებას, უფრო ღრმად აღიქვას იგი.

ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისის სურათების გალერეაში მოწყობილი იყო ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოების გამოფენა. უკვე შედარებით შეიცნობს მისთვის ახლობლისათვის ნაცნობი ავტორების გვერდით წარმოგიდგინეს ახალბედა შემოქმედნი — თბილისის სამხატვრო აკადემიის და სამხატვრო სასწავლებლის სხვადასხვა კურსის სტუდენტები. გამოფენამ დაგვანახა ჩვენი ახალგაზრდა თაობის არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმი, არამედ ჭეშმარიტი შემოქმედებითი გაქანება, გაბედული განზოგადებები ინსამდგილის ასახვისას. მართალია, რამდენიმე გამერული, ინიტმური ხასიათი ჭკონდა ნაწარმოებთა უმრავლესობას, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედნი ჯერ გულს დასაწყისში არიან, ოსტატდებიან და ემზადებიან დიდი მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტლად.

საქართველოს მხატვრებმა ახალი, მღელვარე ქმნილებები უძღვნეს ბრწყინვალე თარიღს — საქმითა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის აღმნიშვნელ დღესასწაულს. ვერცხლ საუბოლო სამხატვრო გამოფენებზე ასეულებით ავტორმა თქვა თავისი სიტყვა დიდი ზეიმის დღეებში.

არასოდეს სახეთი ხელოვნება ასე ახლოს არ მისულა ხალხთან, როგორც დღეს, არასოდეს მხატვრობისადმი, პლასტიკისადმი ინტერესი ასე დიდი არ ყოფილა, როგორც ახლან. ამას მოწმობს ჩვენს დედაქალაქში გამართული — ხალხურ ოსტატთა და თვითნაწავი მხატვართა შესანიშნავი გამოფენებიც, რომლებიც ადასტურებენ თუ რა თვალსაჩინო სიმძლევზე ავიდა ქართული სახეთი კულტურა, რამდენი ჭეშმარიტი ხელოვანი და ფაქიზი ოსტატი იღვივს მხატვრული შემოქმედებით ამ სფეროში. ფართოდ დაბარებულ პროფესიონალიზმთან

ერთად ხალხურ ოსტატებსაც საყურადღებო წვლილი შეაქვთ ჩვენი სულიერი ცხოვრების გაკეთლმოზობლებაში, გალამაზებაში, ამაღლებაში.

საივბილოე გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა მთავარი გმირია ახალი ცხოვრების გამომქვედ და მშენებელი ადამიანი. ამ ადამიანის სახე მხატვართა თუ მოქანდაკეთა ქმნილებებში წარმოსახული ყოველგვარი გარეწული პათოსისა და ყალბი პათეტიკის გარეშე. შინაგანი და მართალი დახასიათების სიღრმე, ზეგადი, ტიპური ნიშნების მახვილი მიხედება და ეროვნული ფორმით განსხვავება განაპირობებს ამ ნაწარმოებთა გამომსახველობას. ბევრ შემთხვევაში გვიხილავთ მხატვრულ-დეკორატივულ ჩანაფიქრის ხასილავ და ორიგინალობა, მაღალპროფესიული შესრულება. პანო-ტიპიკატისა თუ დაზგურ სურათით არა კონკრეტული სიუჟეტის გზით, არამედ ზოგადად, მონუმენტური ფერწერის პრინციპებზე გადაწყვეტილი ეროვნულ სახეთა შექმნის ამცანა. ანუგარ ნაწარმოებებს მივყუთუნება კოკი მახარადის „მიწა-ქართული“. ეს ტილო იკითხება როგორც პოემა ქართული მიწის ბარაკსა და სურნელზე, ქართველ ხალხზე — გულადსა და პურადზე, კოლექტიური შრომის ხელშეკავიანობაზე. მხატვარი არ მისდევს პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის გზას, არამედ ტიპიური, ნიშანდობლივი იერით მოსახვ მათ. ნათელი, ოქროსფერ-ვარდისფერების შესამებებზე აგებული ფერადოვანი გამა, პლასტიკური ფორმების ლაკონიზმი, კომპოზიციური სიმკაცრე და დახვეწილობა ამაღლებულ-დიდებულ ფერადობას აძლევს ამ ტილოს.

„შრომა, სიყვარული, ლხინი“ — რადიო თორღიას ეს ტიპიკული უმღერის შრომელ კაცს, მის ლამაზ გრძნობას და ლამაზ მოტივებს... მიუხედავად იმისა, რომ სამივე ამ კომპოზიციისში მხატვარი თითქოს კონკრეტულად მიგვიითიფებს ადამიანთა გარემოსა და საქმიანობაზე, იგი ძალზე შორსაა იმ ყოფილობისაგან, რომელიც ნაწარმოებზე ძანრულ-თხრობით ხასიათს მისცემდა. ამ ტილოს გამომსახველობაც სწორედ მის ფართო განზოგადების ძალაში მდგომარეობს.

ამაზე პრინციპითაა გადაწყვეტილი ნიკოლოზ ივანტაის ტიპიკური „სიმღერა საქართველოზე“. აქაც მხატვარი ისწრაფვის მოვეცეს სახე ქართული ბუნებისა, დეკორატიული განსწავლის დგინების მისი ხასიათი, მრავალფერებება და სიმდიდრე; დავიხატოს ამ მიწის შეილები მათი საქმიანობის სიმოლიერი მინიშნებით.

სოფლის შრომელების უძველეს ფერწერულ ტილოებს გვიიძივს სურათები „ახალი ცხოვრების იდილია“, „ქართული პასტორალი“ მხატვარი თითქოს აგრძელებს თავისი ნაწარმოებების ციკლს თანამედროვე სოფლის ყოფაზე. როგორც წინა ქმნილებებში, გ. თითქვ კვლავ გვევლინება სოფლის იდილიური მორტფოვლად და ამახმად რაღაც ალბუბური, საინტერესო კუთხით ხსნის ქართულ ხასიათს, კოლორიტს.

კახური ტიპაჟი, ხასიათები მაღალსტატურად წარმოსახა გოგი თითობაქმ სურათში „კახელი მკვდნახევი“. მხატვარი დრმა რეალიზმით, სითბოთი და სიყვარულით ძერწავს საქართველოს ამ კუთხის შრომელთა სახეებს, იმათ სახეებს, ვინც სახელი გაუთქვა მაღლიან კახურ ღვიზს. აი ისინი,

ჩვენს წინაშე წარმომდგარან თავიანთი მონაგართი კმაყოფილნი, კანონიერი სიამაყის გრძნობით გამსჭვალულნი.

უბრალო შრომელი კაცის სადღეობად, მისი შემოქმედებითი ნიჭის საკებრად შეუქმნათა ნაწარმოებები ქართველ ფერწერებს, გრადოვანებსა თუ მოქანდაკეებს. ადამიანი — ხელმოწერილი, ადამიანი — ცხოვრების სილამაზის შემოქმედელი — ასეთია გმირი მრავალი მხატვრული ქმნილებისა.

ამ თემაზე დაწერილი მეტყველი ფერწერული ტილოების ავტორები არიან ვლადიმერ ტროტკაძე, („საიუბილოე“), ბეჟან შველიძე („მოხუცი მექონთა“), რევაზ კეკელიძე („ჭამნიკია“).

ადამიანების კეთილშობილებაზე ძალზე თბილად, ემოციურად მოგვითხრობს დიმიტრი ხახუტაშვილის ფერტილო „ნაშვილები“. რამდენი ახლობელი დააშორა ერთმანეთს ფაშისტების მიერ გაჩაღებულმა ომმა, საღვრი სად წაყვანა, რომელ მხარეში მოახდრა, მაგრამ ადამიანებმა ურთიერთს ხელი გაუწოდეს, შეიკედლეს და უცხოები ახლობლებად იქცნენ. ამ თემას ფაქიზად ხსნის თავის სურათში დიმიტრი ხახუტაშვილიც. თვითველ მოქმედ გმირის იგი მსგეული ფსიქოლოგიური შტრიხებით აცოცლებს. ქართული ოჯახის სითბოთი და სიყვარულითაა გარემოცული ეს პატარა ოქროსთმინი რუსი გოგანა, რომელიც ასე კარგად გრძნობს თავს მათ შორის, ვინც შეიღვივით მიიღო და ობლობა არ აგრძნობინა. ერთმანეთში შერწყმული, ინტეგრირებული ფერთა წერილი მონასმები, რაც მხატვრის ფერწერას გამოარჩევს, სხვისონი პალიტრა, ერთგვარ გასაღებს იძლევა ამ საერთო ატმოსფეროს შესაგრძნობად.


ზურაბ მეძმარიაშვილის მრავალფეროვანი კომპოზიცი — „გარდაცვალი დროში“ კოლმურენეთა ზეიმს გამოხატავს. სურათზე ჰგვდავთ შრომაში გამარჯვებულ კოლმურენეთა ხალხისიან, შვიარულ სახეებს. დროში გადაცემის ცერქონიანობის საზეიმო განწყობილებას ეხმიანება სურათის კოლორიტული გადაწყვეტა — ალისფერ-ნარინჯოვანი კოლორიტი, მოკიაფე, ცოცხალი ფერები.

საპატაჟი და საპასუხისმგებლო საზოგადოებრივი მოვალეობის აღმასრულებლობა — ჩვენს აგიტატორებს ეძღვნება თ. ფიცხელაურისა და ნ. იაკოვენკოს ტილოები. სურათში — „თანასოფელი აგიტატორი“ ნ. იაკოვენკო გვიჩვენებს ხალხის დრმა ინტერესს ცხოვრებისეული საკითხისადმი. ეს ეს არის დაბრუნებულა სოფელში აგიტატორი, ცხენიდან ჩამოხტარა და მას უკვე გზაში ხედიბიან თანასოფელები, შეიიხებებს აძლევს, უსმენენ...

საწარმო დარგის შრომელების — ჩვენი მუშების, მეფოლადების მხატვრული სახეებია მოცემული რიგ ფერწერულ ტილოებში, როგორცაა მამია ახობაძისა, წარსულის მოგონება, გ. მისურაძის „მემონტაჟეთა ბრიგადა“, თ. ჭიჭინაძის „ლოპოტის მარმარილის კარიერებზე“, ნიკოლოზ მიაანაროვისოფლები „შრომის ადამიანები“ და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავი გამოფენა, ფერმწერალთა სურათები ამ გამოფენაზე ჭეშმარიტად კარგი საიუბილოე მიძღვნა ჩვენს ხალხისადმი, დიდი თარიღისადმი.





„დინამოს“ სტალიონი (1937 წ.)

## თანამედროვეობის სიღილატი

ნოდარ ჯანბერიძე

ს

აბჭოთა ქვეყნის ორმოცდაათი წლისთავს ქართველი ხუროთმოძღვრები თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან. სწორედ საიუბილეო წელს ქართულმა არქიტექტურულმა სკოლამ საერთაშორისო აღიარება პოვა: ამ ზაფხულს პრაღაში გამართულმა არქიტექტორთა საერთაშორისო კონგრესმა, თავისი ტრადიციული „ათენის“ პრემია მიანიჭა თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს ვლადიმერ ცინცაძეს, ხოლო წამახალისებელი პრემია წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომანტს გიორგი მურვანიშვილს. თუ გავითვალისწინებთ იმას,

რომ ახალგაზრდა სპეციალისტთა ეს კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა და კონკურსზე არსებობს მხოლოდ „ათენის“ ერთი პრემია (ფულადი ჯილდო და ერთწლიანი მივლინება ათენში) და ათი წამახალისებელი პრემია, სადაც საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ აღნიშნულები დაჯილდოვდნენ, ნათელი გახდება ქართველ ლაურეატთა წარმატების მნიშვნელობა. სულ ახლახანს საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირმა უკანასკნელი ხუთი წლის ექვს საუკეთესო ნაწარმოებთან შორის დაასახელა ქართველი ხუროთმოძღვრების — შოთა ყვლაშვილის, ვლადიმერ ქუთიშვილის, რამაზ კიენაძის და კონსტრუქტორ გიორგი ქარცივაძის ნამუშევრები — ბარათაშვილის სახელობის ხიდი და ჭორწინების სახლი თბილისში და მათ ავტორებს პრემია მიაკუთვნა.

ქართველ არქიტექტორთა ამ გამარჯვებას მეტად ნიშნდობლივი მხარე გააჩნია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხომ ხუროთმოძღვრების დარგში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზრუნავი ეროვნული არქიტექტურული კადრების მომზადება იყო. 1922 წელს სამხატვრო აკადემიაში და სახელმწიფო უნივერსიტეტში არქიტექტურული და პოლიტექნიკური ფაკულტეტების ჩამოყალიბება სწორედ ამისთვის იყო გამიზნული. ფართოდ გაიშალა მუშაობა კლასიკური და ეროვნული ხუროთმოძღვრების შესწავლისა და კვალიფიკური კადრების მომზადებისათვის, რამაც თავისი ნაყოფიერი გვალი დააჩნია მთელს შემდგომ არქიტექტურულ პრაქტიკას ჩვენს რესპუბლიკაში.

ქართველ არქიტექტორთა დაულაღავი მუშაობის შედეგად დიდი წარმატება მიღწეული ქალაქთმშენებლობის დარგში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველადი მნიშვნელობის ამოცანად დაისახა თითქმის სრულიად გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენა.



სასტუმრო „ივრია“. 1967 წ.

თუ გავისხენებთ კომუნალური მეურნეობის იმდროინდელ მდგომარეობას და იმ არქიტექტურულ მემკვიდრეობას, რომელიც კაპიტალისტურმა იყო ნაბოძები, ნათელი გახდება, როგორი სიმძლეების წინაშე აღმოჩნდა რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში.

დაიწყო ქალაქთა რეკონსტრუქცია და მოშლილი კომუნალური მეურნეობის მოწყობა-მოწესრიგება. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა საცხოვრებელი ფონდი, მუშების და სახლების რაიონების კეთილმოწყობა, რომელზეც თბილისში 1921-23 წლებში ჩატარებულ მთელ სამუშაოთა 80% მოდიოდა. დიდი მუშაობა ჩატარდა თბილისის სანიტარული მდგომარეობის, ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად.

თავისთავად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს უკვე 1921 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ქალაქთა გეგმების შედგენას ესება და ბათუმისა და გორის ახალი დაგეგმარების საკითხებს აყენებს.

1925 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ინიციალურად ა. ივანიცის წინადადებებს ქალაქის გენერალური რეკონსტრუქციის შესახებ, რომელიც ქალაქის ახალ დაგეგმარებას, მოედანთა, ქუჩების ახლებურად გადაწყვეტას ესებოდა.

1926 წელს ტარდება კონკურსი თბილისის ვაკის რაიონის დაგეგმარებაზე. გამარჯვებული პროექტით, რომლის ავტორი იყო მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტის სტუდენტი არჩილ ქურდიანი, დაიწყო მშენებლობა.

1927 წელს ცხადდება კონკურსი საბურთალოსა და სადგურის შემადარებელი ხიდის დაპროექტებაზე. კონკურსში მონაწილეობენ არქ. ა. შრუსევი, ნ. სევეროვი, მ. კალაშნიკოვი და სხვ.

ამ დროს წარმოებს ქალაქის მთავარი მაგისტრალის გაფართოება. მთავრდება ლესელიძის, ტელმანის ქუჩების რეკონსტრუქცია. 1927 წელს იწყება ელბაქიძის აღმართის რეკონსტრუქცია. საფუძველი ჩაეყარა ზოლოტოვიერ პარკს, რომელიც უკვე რამოდენიმე წელიწადში მნიშვნელოვან მწვანე მასივად იქცა.

ქალაქმშენებლობითი სამუშაოები მიმდინარეობს რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. სოხუმსა და ბათუმში გაყვანილი კანალიზაცია, ფოთში 1925 წელს შენდება ახალი ხიდი, რომელიც სასულაო პორტს ქალაქთან აკავშირებს, ქუთაისში ზრუნავენ ქალაქის წყლით მომარაგებაზე, 1920 წლის მიწისძვრით დაზარალებული გორი ახალი ნაგებობებით შენდება. დაიწყო კოლხიდის დაბლობის ამოწობა.

1930 წელს მუშავდება ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის მუშაობა დაბის დაგეგმარების პროექტი (არქ. ა. ნიკოლაიშვილი), რომლის განხორციელებაც ჩვენში საცხოვრებელი სახლებისა და მომსახურე ობიექტების კომპლექსის შექმნის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო.

ფართოდება სამშენებლო მასშტაბები საქართველოს კურორტებზე. 1932 წელს მუშავდება წყალტუბოს დაგეგმარების პროექტი (ნ. სევეროვი, მ. მამრაძესთან ერთად).

30-იანი წლების დასაწყისი ქალაქთა დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმების შედგენის მნიშვნელოვანი ეტაპია. იქმნება გენერალური გეგმები ბათუმისათვის (ა. ნიკოლაიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ლ. სუბაძე, რ. აბაბაიანი, ყირქესალი); ცხინვალისათვის (ყირქესალი, აბაბაიანი, ვარაზიშვილი); ზესტაფონისათვის (ა. ნიკოლაიშვილი, ლ. კულაბა, ვ. კეილა); ფოთისათვის (ა. ნიკოლაიშვილი, ვ. კეილა) და სხვ.

ქალაქთა გენერალური გეგმის შედგენა სერიოზული გამოცდა იყო ადგილობრივ სპეციალისტთა შემოქმედებითი ძალეობისა, რომლებმაც ფაქტობრივად პირველად გამოიჩინეს თავი ქალაქმშენებლობის ხელოვნების დარგში.

იმ დროს ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევარს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა თბილისის გენერალური გეგმის შედგენა, რომელიც 1934 წლის აპრილში დამთავრდა (ზ. ქურდიანი, გ. გრეგავა, მალაზემოვი და შელეპოვსკი). გამოიწვენილი იქნა ტექნიკურ-კონომიური საფუძვლები ქალაქის დაგეგმა-

რებისათვის, რამაც მეცნიერული საწყისები შეუქმნა ქალაქის განვითარებას 25-30 წლის მანძილზე. ეს იყო საციხის ყოველმხრივ გამოკვლევას დაყრდნობილი პროექტი, რომელმაც ძირითადად სწორად დასახა ქალაქის განვითარების გზები. ამის აშკარა დასაბუთებაა ქალაქ თბილისის მთელი შემდგომი განაშენიანება-რეკონსტრუქცია.

სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებათა შედეგად ფართოდ გაიშალა ქალაქთა კეთილმოწყობის სამუშაოები. თბილისში სანაპიროს აგება, ახალი ქუჩებისა და ჩელუკინელთა ხიდის აშენება, გმირთა მოედნის მომდებარე უბანთა ახალი განაშენიანებით, ლენინის მოედნის და რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქცია, პარკი მთაწმინდაზე და სხვა სამუშაოები, რომელთა ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წაგვიყვანდა — სრულიად ახლებურად წარმოადგინდა ქალაქის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს.


ასე იყო არა მარტო თბილისში. რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქი დაიქვემდებარა რეკონსტრუქციის ერთიან გეგმას. ბუნებრივია, ამ პროექტებში დასმული საკითხები ყოველთვის ვერ პოულობდნენ სათანადო გადაწყვეტას, მაგრამ ქალაქთა კონკრეტულ პირობებზე დაყრდნობით, ისინი სიცოცხლისუნარიან ქალაქმშენებლობით ფაქტორს წარმოადგენდნენ.

სამამულო ომმა დროებით შეაჩერა არქიტექტურის აღმავალი განვითარება. მაგრამ ჯერ კიდევ ომის დროს (1944) სახელმწიფოს განმტკიცების ამოცანებმა წამოაყვეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის და მასთან დაკავშირებით ახალი ქალაქის — რუსთავის მშენებლობის საკითხები. ახალი დასახლება შენდებოდა გორის ბაზმიულის კომბინატთან (არქ. ლ. სუმბაძე) და ქუთაისის ავტოქარხანასთან (არქ. შ. შავიშვილი და გ. ჩიგოჯიძე).

რუსთავის ტერიტორია მტკვრის ორივე ნაპირზეა დაგეგმარებული (მარცხენა ნაპირის დაგეგმარების ავტორებია — შ. ნეპრინცევი, ლ. კობალაძე, ზ. ჭურდიანი, ნ. ჭურდიანი, დ. მელიქიშვილი, მარჯვენასი — შ. ნეპრინცევი, დ. მელიქიშვილი, ი. ჩხენკელი). შემდგომში დამუშავდა მარჯვენა ნაპირის დეტალური დაგეგმარების და მიკრორაიონების განაშენიანების პროექტი (არქ. ლ. სუმბაძე). სულ რამდენიმე წლის მანძილზე გაშენდა ფართო მაგისტრალები და მოედნები, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, საცხოვრებელი კვარტალები. თვით ფაქტი ასე მოკლე დროში ქალაქის გაშენებისა, ქართველ არქიტექტორთა და მშენებელთა მიღწევებზე მეტყველებდა.

ქუთაისის დაგეგმარების გენერალური პროექტი, რომლის დაშუქავენაც ჯერ კიდევ 1937-38 წლებში დაიწყო, 1947 წლის დამთავრდა (ა. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი შ. გოგოლაშვილი). იგი მაქსიმალურად ეყრდნობოდა ადგილობრივ პირობებს, რაც არა მარტო გეოგრაფიული მდებარეობის, არამედ მხატვრული ტრადიციებისათვისაც ხანდა. ამიტომ უფრო გვიან, ახალი გენერალური გეგმის შექმნისას (ა. ნიკოლაიშვილი, შ. ლომთაძე) დაგეგმარების პრინციპი იგივე დარჩა.

ქუთაისის ცენტრმა სრულიად იცვალა სახე. შეიქმნა ახალი მაგისტრალი — ლენინის ქუჩა, რომელიც მრავალსართულიანი,



საქართველოს სახარტის სასახლე

ძირითადად საცხოვრებელი სახლებით გასწვდა. ცენტრალურ-სტადიონისა და გარემომცველი საცხოვრებელი მასივის აშენებამ ახალი რაიონი შექმნეს თავისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობებით.

სოხუმის გენერალური გეგმის გადასინჯვამ (ა. ნიკოლაიშვილი, ე. მაგარატიანი, გ. თუთია, დ. ბურულავას მონაწილეობით) მნიშვნელოვანი კონკრეტული შეიტანა ქალაქის ახალ განაშენიანებაში. ქალაქი იზრდება გუმისტის კონცხის, ლეკასის პლატოსა და აღმოსავლეთის რაიონის (მ. კლასურამდე) ხარჯზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანაპირო ზონის განაშენიანებას.

ბოლო დროს არქიტექტორებმა გადაწყვიტეს მაღლივი სახლებით გაშენების საკითხი ზღვისპირა ქალაქებისათვის. ამას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი რელიეფის მქონე ქალაქისათვის, როგორცაა ბათუმი. თუ სოხუმში აფეთებატრად ეშვება ზღვისკენ, ბათუმის რელიეფი ბრტყელია. აქ გეომორფი მიზანდასახულობასთან ერთად მაღალ ელემენტებს წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც მნიშვნელობა ექნებათ.

თბილისის მეტროპოლიტენი







ბათუმის გენერალურ გეგმაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1933 წელს დაიწყო. შემდეგ, 1938 წლის კორექტირებული ვარიანტი იაკ აკაყოფილდმა მოთხოვნებიდან და უფრო გვიან 1956 წელს ხელახლა დაპროექტა (ა. ნიკოლაივილი, ლ. სუბაძე, კ. ჯავახიშვილი, ნ. ფარეშოვსკა, ვ. ცინცხაძის მონაწილეობით). ქალაქის ტერიტორიის ზრდა გათვალისწინებულია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რადგან მახინჯავრის საკურორტო ზონისაკენ ტერიტორია დაკავებულია 20-იან წლებში აშენებული სამხრეველო რაიონით. ქალაქის ფუნქციური ზონირება ინარჩუნებს უკვე ჩამოყალიბებულ სქემას. ახალი საცხოვრებელი მასივი, რკინიგზის სადგურის სექციის მოვარება და სხვ. ქალაქს ახლებურ ცხოვრებას მიანიჭებს.

სოხუმის და ბათუმის ახალშენებლობები (სოხუმის თეატრი — არქ. მ. ჩხავიძე, სადგური — არქ. ლ. და ლ. მუშუკუნიანი, ბათუმის თეატრი — ლ. ტელიციკი, კინოთეატრი — არქ. ნ. აბაშიძე და სხვ.), სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოედნებისა და ქუჩების სრულიად ახალ განაშენიანებას ქვნიან. ფართოდ გამოიღო მშენებლობა იწვევს კურორტთა გენერალური გეგმების გადახედვას და შეცვლას. 50-იანი წლების დასაწყისში მუშავდება კურორტ წვალტუბოს ახალი გენერალური გეგმა (არქ. ი. ზალომედი და ვ. კედიანი), რომელიც უწყველიანად განსხვავდება ძველისაგან, მაგრამ ინარჩუნებს და ავითარებს ძველი გენგეგმის რგოლურ კომპოზიციას. საცხოვრებელი სახლები გატანილია კურორტის არსებული ფარგლებიდან, გატანილია სადგურიც, ძველი პროექტის საცხოვრებელი რაიონები ადგილს უთმობენ ახალ დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს და სხვ.

ქალაქის ზრდის მოთხოვნილებანი ახალ საკითხებს სვამენ თბილისის გენერალური გეგმის წინაშეც. ხდება მისი გადასწავლა, რის შედეგადაც ტარდება მთელი რიგი სამუშაოებიც. ახალი სანაპიროები, ხიდები, გაფართოებული მაგისტრალური და მოედნები საფუძვლიანად უწყობს სახეს რესპუბლიკის დედაქალაქს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე მშენებლობას. ვაკეში და „თბილისის ზღვასთან“ შენდება კეთილმოწყობილი პარკები.

შემდგომი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ვაკე-პაბუთოთალოს დამაკავშირებელი ახალი მაგისტრალები, სანაპიროთა ახალი მოწაყვეთები (საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუ 1940 წელს სანაპიროს სიგრძე 3 კმ-ს უდრიდა, 1966 წელს იგი 13,5 კმ-მდე გაიზარდა). უფრო მოხატულს ხდის ქალაქის სხვადასხვა რაიონების ურთიერთაკვირის.

თბილისის შემდგომი განვითარებისათვის შეიქმნა ტერიტორია „თბილისის ზღვის“ ვარშემო. მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაპირებზე აღიშრებდა მაღალი საცხოვრებელი სახლები, სადაც ასე ათასობით თბილისელი დასახლებდა.

პარტიკის და მთავრობის სწორმა გეგმა 1955 წლიდან პროექტირებაში შედგამობის აღმოფხვრისა და შემდგომი ინდუსტრიალიზაციის შესახებ ახალი ამოცანები დასაბამი არქიტექტურითა და მშენებელთა წინაშე და მკვეთრად შემობარუნა არქიტექტურულ-სამშენებლო შემოქმედება, რაც

სამშენებლო საქმის შემდგომ გაუმჯობესებას და ტერიტორიული პროექტის ფართო დანერგვას ითვალისწინებდა.

ყურადღობის ცენტრში საცხოვრებელი რაიონების მშენებლობა დასვა.

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების ისტორიის პირველი ნაბიჯებიდან საცხოვრებელი სახლის არქიტექტურამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. დაიხსნა ბინების გადაწყვეტა, რომელიც საქართველოს ყოფითი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით თანდათან უმჯობესდებოდა. ოთხთა განლაგების უკეთესი ორიენტაცია, ორმხრივი განიკავება, ფართო აივნები და ლოჯიები საცხოვრებელი სახლის დაგეგმარების აუცილებელი კომპონენტები გახდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწყო ახალი საცხოვრებელი მასივების სწრაფ და იავ განაშენიანებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალაქებში 1921-65 წ. წ. მანძილზე 10.067 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი ჩაბარებული და აქედან 1961-65 წლებში 3.355 ათასი კვ. მეტრი მოდის. საინტერესოა ისიც, რომ უკვე 1964 წელს ტიპობრივი პროექტით იყო აშენებული 97,3%.

თბილისში 1956 წელს დაიწყო საბურთალოს საცხოვრებელი მასივის განაშენიანება (არქ. შ. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე, დ. გეგლიძე, ი. ყავლაშვილი), რომელიც ქალაქში მშენებლობის ახალი, პროგრესული ტენდენციების გამოყენების ერთ-ერთი პირველი მაგალითი იყო. ქალაქის 300-მდე ჰექტარი თავისუფალი ტერიტორიისა დაიკავა 45.000 მოსახლემ განკუთვნილმა კეთილმოწყობილმა გამსხვილებულმა კარაკლებმა.

საბურთალოს საცხოვრებელმა მასივმა უდიდესი როლი შეასრულა ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საქმეში, თუმცა აქ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული მთელი რიგი გეგმარებითი თუ მხატვრული ამოცანებისა.

საინტერესოა დიდიმის საცხოვრებელი მასივის დაგეგმარება, სადაც გარდა საცხოვრებელი სახლებისა შენდებდა კინო-ქალაქი თბილისის კინოსტუდიისათვის, პოლიგრაფკომბინატი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სხვ. მკვერის ნაპირის გაშენდება სანაპირო, რომელიც საქართველოს სამხედრო ზღვის განტვირთვას სატრანზიტო ტრანსპორტისაგან. არქიტექტორები ინარჩუნებენ არსებულ მწვანე ნარგავებს, რაც ამ რაიონს ნამდვილ ბაღინარად აქცევს.

ახალი საცხოვრებელი სახლები შენდება ქალაქის ცენტრშიც, კერძოდ ბარნაშვილისა და მარქვის ბინების მიდამოებში. ძველი, ამორტიზებული სახლების ნაცვლად მრავალსართულიანი სახლებით განაშენიანებული ხეთაგურვის ქუჩა სანაპიროს ურთიერთება, რითაც უმჯობესდება სატრანსპორტო მოძრაობაც.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის ახლებური გადაწყვეტა მოგვეს არქიტექტორებმა მცხეთის ქუჩაზე და მარქვის ხიდან, სანაპიროზე მდებარე საცხოვრებელ სახლებში. (პირველის არქ. რ. ბაიარაშვილი, თ. კანდელაკი, დ. მორბედიძე). ფასადის მომრგვალებული ფორმით კარგად ეწყობის

ქუჩის საერთო დინებას, ხოლო კიბის უკარგდზე გამოქვლი ელემენტის შეტანა ცხოველსატულობას ანიჭებს ფასადს. მთორ სხლის არქიტექტურა (გ. მულქაძე, ლ. ხარაშვილი, შ. ყავლა-შვილი) კარგად ეფარდება გარემომცველ მიდამოს და საერთო განაშენიანებაში ქალაქის სხვადასხვა წერტილებიდან იპყრობს ყურადღებას. აქ ავტორებმა შესძლეს ფორმალა სისადავე, მოცულობითი ელემენტები, ფერი და დეკორატიულობა ერთიანი ამოცანებისათვის და შეექმნათ საკვებით გაწონასწორებული, შეკრული კომპოზიცია, რომელიც სანაპიროს ამ მონაკვეთზე წაყვანილი კომპონენტის როლს ასრულებს. მოხდენილად ეფარდება გარემომცველ გარემოს ახალი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე (ლ. ჯანელიძე), რომელიც კარგად მოძებნილი მასშტაბურობითა და საერთო გადაწყვეტით მიხერხებულად „ჩაადგა“ ამ რთულ მონაკვეთში.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის მანძილზე შეიქმნა არ ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც ქართული არქიტექტურის ამა თუ იმ ეტაპის დამახასიათებელ ნიმუშებს ატარებს.

ქართული არქიტექტურები თავიდანვე ცდილობდნენ თავის წინაშე მდგომარე თანამედროვე ამოცანები ერთნაირი არქიტექტურული ფორმებით გადაეწყვიტათ. ხშირად ქართული არქიტექტურული ელემენტების გამოყენება არ გამოიხატებოდა ნაწარმოების არსიდან, არ იყო ორგანული და ნაკვებობის მხოლოდ ზრუელე საიმის წარმოადგენდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩასახვის პირველ პერიოდში ერთნაირი არქიტექტურის შექმნისადმი მისწრაფებას პრივილეგია მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვადას, რომ შემდგომში ერთნაირი ფორმა მხოლოდ ძველი ქართული არქიტექტურის მართულობის ცნობილი რეპერტუარის ბრმა გადმოღობილი იყო გაგებული, რაც სრულიად მცდარ მოსაზრებას იმყარებოდა.

ჯერ კიდევ შაჰისის კომპლექსის არქიტექტურაში (ა. კალგინი, კ. ლეონტივი, მ. მაჭავარიანი) ავტორები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ტრადიციული არქიტექტურული ფორმები.

20-იანი და 30-იანი წლების მიჯნაზე შემოქმედებით ძიებათა მკაფიო მავალითა, ზოგიერთი „ცრურთონული“ თუ აკარად „კონსტრუქციისტული“ ნაწარმოების გვერდით, რაციონალური, სადა და მკაფიო კომპოზიცია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობისა (ნ. სუვერევი), რომლის საფუძველს ფუნქციურ-უტილიტარული დანიშნულება შეადგენს. გვიმა მკაფიოდა გადაწყვეტილი, ინტერიერის მკაცრი სისადავე ნაკვებობის დანიშნულებას ეფარდება. ფასადთა არქიტექტურა მასათა და ხვერლობათა ურთიერთობაზე დამყარებული. შენობის მოცულობანი ორგანულად ერთობს ფასადთა საერთო სტრუქტურის ხასიათს. დიდი ყურადღება ექცევა მასათა მარმონულ შეფარდებას, შენობის ფასადთა პროპორციულად გადაწყვეტას.

30-იანი წლების ქართულ არქიტექტურაში ორი ტენდენცია შეინიშნება: ერთი — მისწრაფება ერთნაირი ფორმის შექმნისაკენ, ხოლო მთორე — ნაკვებობათა ფასადების მართულობაში კლასიკური ფორმებისა და ელემენტების გამოყენება.

ამ ეტაპზე ქართული არქიტექტურული ტრადიციების გემოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „დინამოს“ სტადიონი თბილისში (ა. ჭურდიანი). სტადიონის ჩაკეტილი თვალური მოცულობა ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს. მისი დაგეგმარება ისეა გადაწყვეტილი, რომ სხვადასხვა ადგილებიდან ტრიბუნების შეხებების შესაძლებლობა შეიქმნას. იარუსებად გაილილი ტრიბუნები ზედვის კარგ პირობებს ქმნიან.

მთავარი პორტიკის ტრიუმფალური თალი ძირითადი აქცენტია მის არქიტექტურაში. იგი თავიდანვე გადმოგვეცხს სტადიონის საერთო საზეიმო ხასიათს. ეს თალი შიდა შემოფარულ სივრცეს ხსნის, აკავშირებს გარე სივრცესთან. არქიტექტორი საზეიმო განწყობის გადმოსაცემად აქ მართულ მოთასაც ხსნის, რომელიც ტონს აძლევს დეკორს ფასადის მთელს არქიტექტურაში.

„დინამოს“ სტადიონი ისეთ ნაწარმოებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებშიც დიდი ყურადღება დაეთმო ნაკვებობის ფუნქციურ გადაწყვეტას, მშენებლობის ეკონომიკასა და ახალი კონსტრუქციების გამოყენებას, სადაც დეკორიც გარკვეულ ლოკაციაზე დამყარებული.

ომისშემდგომ პერიოდში შენდება ბევრი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაკვებობა. მათ შორის გამოირჩევა კაპოტყელოს სსრ მთავრობის სახლის მონა კორპუსი (არქ. ვ. კოტორინი, გ. ლევაკა, ვ. ნასარიძის წინაწილობით), რომელმაც ჩაკეტა უწინ აშენებული ზედა კორპუსის რუსთაველის პროსპექტზე გამომავალი კურდინური. ამ ნაკვებობაში ავტორებმა მკაფიო ფუნქციური გადაწყვეტა მკაფიო სადა კომპოზიციით და ფორმათა მონუმენტურობით გადმოსცეს. პროპილეების გამოქვლი ღერძი ორგანულად აკავშირებს ახალსა და ძველ კორპუსებს და საზეიმო, ამაღლებული განწყობის ქმნის საერთო არქიტექტურაში. მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებისა, ეს იყო სერიოზული ცდა თანამედროვე ნაკვებობის არქიტექტურის ერთნაირი იერით გადაწყვეტა, რაც ამ შენობის ქართული საბჭოთა არქიტექტურის ყველაზე მოწინავე ნაწარმოებათა რიცხვში აყენებს.

იმდროინდელ არქიტექტურაში, როგორც ზვეითაც აღინიშნა, თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, რაც ფაქტიურად გზიდან აცდენდა საბჭოთა არქიტექტურის სწორ განვიტარებას. არქიტექტურის ბუნებისა და არსის არასწორმა გაგებამ, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა და ასალ კონსტრუქციათა გამოყენების შეუფასებლობამ, მშენებლობის ეკონომიკისა და შენობათა ნორმალური ექსპლუატაციის გაუარესება გამოიწვია. ისტორიული არქიტექტურის ნიმუშებიდან აღებული ელემენტებისა და დეკორის გაუმართლებელი გამოყენება იწვევდა არა მარტო მშენებლობის გაძვირებას, არამედ მხატვრულადც მდარე ნაწარმოებათა შექმნას.

პარტისა და მთავრობის მითითებებმა პროექტირებაში შედგებობის აღმოფხვრისა და შემდგომი ინდუსტრიალიზაციის შესახებ მკვეერი გარდატეხა შეიტანა არქიტექტურულ შემოქმედებაში. შედეგებამც არ დააკუნეს.

თბილისში აშენდა სპორტის სასახლე 10.000 მკურებლისათვის (არქ. ე. კასრაძე, ლ. მესხიშვილი, კონსტრუქტორი



ქორწინების სახლი

დ. ქაჯაია), სადაც ლაკონური არქიტექტურული კომპოზიციით, სადა ფორმათა გამოყენებით ყველა ელემენტი გამიზნულია როგორც კონსტრუქციული, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც, სასამართლო პროპორციების თაღედის მეტრი და ზედა შემონული სარტყელის ზოლი, რომელიც გარს ევლება მიუღს შენობას, როგორც უწყვეტი ფრინჯი, კედლის, ყრუ, თავისუფალ სიბრტყესთან ერთად ქმნიან ფასადის წყნარ, მაგრამ მიმზიდველ კომპოზიციას.

ამ შენობაში განსაკუთრებით საყურადღებოა გუმბათის კონსტრუქცია, რომელიც ანაგრეფ რკინაბეტონის გარსულ გადახურვას წარმოადგენს. მხატვრული თვალსაზრისითაც იგი წამყვანია შენობის არქიტექტურაში. შედარებით დაბალი ნაგებობიდან შენობის დარბაზში შესვლისას მხატვრული ზემოქმედება მიმართულია სივრცობრივი აღქმის კონტრასტზე. ამაში, დარბაზის მიწის დონიდან ჩაღრმავების გარდა, გუმბათის ატყორცნილი ნახევარფერო იარაღისა და მისი რილის. აქტორებმა მოსაპირკეთებელი მასალებითა თუ ჩრდილებიანი ღია თაღებით, მათი პროპორციული კვებულებით თუ კიდევ სხვა უზღავი საშუალებით, რომელიც შენობის მიუღს ორგანიზმში იგრძნობა, არქიტექტურა დაუმორჩილებს ჩვენებურ გარემოს და ამაშია მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება. მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებითაა შეპირობებული (დასანანი კია, რადგან აქ ყველა ნიშანია იმისა, რომ ნაგებობა ყოველმხრივ გამართული ყოფილიყო), სპორტის სასახლე ქართული არქიტექტურული შეთქმულების ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია.

უკანასკნელი ხანის ნამუშევართა შორის, რომლებიც მშენებლობის პროცესშია და საცაა უნდა დამთავრდეს, აღსანიშნავია ფილარმონიის (ი. ჩხეიძე), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (გ. გაბაშვილი, ლ. მესხიშვილი), ზოოგეგმერი-

ნარული ინსტიტუტის (ო. თუხარელი) და სხვა ნაგებობები. რომელიც საქმიანი, სადა არქიტექტურული გადაწყვეტა აერთიანებთ და უნდა ითქვას, რომ საერთოდაც, უკანასკნელი ხანის ქართული არქიტექტურა, რომელიც ახლა განსხვავებულ სტილისტურ ნიშნებს ატარებს და რომელსაც რაციონალური საწყისები უდევს საფუძვლად, კვლავ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრულ ამოცანებს, ახალ სამუშაოებში შესაძლებლობებთან შეფარდებით ახლებურად წყვეტს მას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ინტერიერის დამუშავებაში, რომელიც ჩვენი არქიტექტორთა ნამუშევრები სულ უფრო და უფრო იძენენ ინდივიდუალობას, ახლებურად გაგებულ ადგილობრივ თავისებურებას. მაგალითისათვის ქორწინების სახლისა (რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი) და მუსკომედიის თეატრის (ო. ლთინიშვილი, თ. მაცუარაშვილი) შიდა არქიტექტურა გამოვავალებთ.

თბილისის მარცხენა ნაპირის განაშენიანებისათვის პირინციპული მნიშვნელობა ენიჭება სასტუმრო „ივერიის“ მაღალ შენობას (არქ. თ. კალანდარიშვილი), რომელიც კარგად ჩაერთო სანაპიროს ბორცვის განაშენიანებაში (ამისათვის კარგად გადასასვლელებს ქმნიან რესტორნის ბლოკის პორიზონტული აბზაცები) და მასთან კონტრასტულად აღმართული ვერტიკალი ქალაქის მრავალი ადგილიდან იპყრობს ყურადღებას. კარგად ნაპოვნი სიმაღლე შენობის მნიშვნელოვან აქცენტს ქმნის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, აქცენტს, რომელიც ამ ნიღამებში ერთადერთი უნდა დარჩეს, მოაწონების ამგიოტეატრის ერთიანი მასშტაბი რომ ამ დაიარღვეს. თბილისის სპეციფიკა კი მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ახლად ასაგებ შენობებს. კარგად ეფარდება ქალაქის ძველი რაიონის განაშენიანებას ბარაზაშვილის სახელობის ახალი, ორიართიანი ხიდი (შ. ყავლაშვილი, ვ. ჭურთიშვილი, კონსტრუქტორი გ. ქარცივაძე), რომლის უპრეტენზიო გადაწყვეტა სწორედ აქვთუგანა გამიზნული. ავტორებმა ხიდს მოაცილეს ტრადიციული ლამიონები, რომ რაიმე ვერტიკალით არ დაერღვით ძველი ანსამბლი. მოხერხებულადაა მოძებნილი ადგილი კაფესსა და საგამოფენო დარბაზებისათვის. ხიდის ფუნქციონრმა, სადა გადაწყვეტებ მოავგარა სატრანსპორტო საკითხები და ამ უბნის რეკონსტრუქცია ჩატარდა ისე, რომ ძველის ლაზათი და შოი შენარჩუნებული იქნა.

ძველია ერთ წერიტში შეხეო, თუნდაც ძალზე ზერღეულ, იმ დიდ ნამოღვაწარს, რომელსაც ქართველი არქიტექტორები ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე ქმნიდნენ. ზემოთ მოსტყებულ არქიტექტორთა მარტო სახელებიც კი მეტყველებენ იმაზე, რომ ამ დიდ საქმეში ჩაბმულია ქართველ ხუროთმოძღვართა რამდენიმე თაობა, დაწყებული იმათგან, ვინც ამ ხნის განმავლობაში პირველმა მიიღო სპეციალური არქიტექტურული განათლება და სრულად ახალაღზარდა საქცილობის ტებით დამთავრებული. ეს არის მასწავლებელია და მოწვევია ერთიანი რაზმი, რომელიც მიუხედავად ცალკეულ შემოქმედება ინდივიდუალური მისწრაფებებისა, ერთ კეთილმოიღურ საქმეს ემართება.

ქართველი არქიტექტორები სახელოვან იუბილეს ღირსეულად ხედებან.



# ქართული უიღვი მსოფლიოს კიკანაგზა

კარლო გოგოძე

ქართული კინოს ისტორიკოსისა და კინოდრამატურგის კარლო გოგოძის სტატია, რომელსაც აქ ვთავაზობთ, ცხადია, თავისი მასშტაბით ევრ ამოწურავს აღზრდულ თემებს, შის აზრსა და შინაარსს. იგი შემეცირებელი ვარიანტია იმ ბუნადილი შრომისა, რომელზეც ამჟამად ავტორი მუშაობს და რომელსაც, იმედია, წიგნის სახით უახლოეს ხანში მიიღებთ შვითხველი.

როგორც წიგნი, ისე ეს სტატიაც მიზნად არ ისახავს მეცნიერული ანალიზი კავთოს ქართული ფილმის საერთაშორისო წარმატებათა პრაციესს. იგი უფრო ინფორმაციული ხასიათისაა და ახდენს ფაქტურ მასალათა დაახლოებით სისტემატიზაციას, რომელიც ქართული ფილმების საერთაშორისო ეკრანებზე მსობრები დემონსტრაციის, როგორც ქართული კინოხელოვნების ისტორიისათვის შეტად დღმნიშვნელოვანი ფაქტის, საკითხთანა დაკავშირებულად.

მისი ძირითადი მიზანია უცხოური პრესის გამოყენებით, ნაწახისა და ნაამბობის გადმოცემებით ჩვენს მაყურებელს მოუთხროს იმ გამოახილსა და პოპულარობაზე, რომელიც ქართული კინემატოგრაფიის ნაწარმოებებს უცხოეთში ჰქონდა, განსაკუთრებით კი მისი განვითარების ომისშემდგომ პერიოდში აქვს.

ს აქართველო მუდამ იყო მსოფლიო პროგრესულ ადამიანთა ყურადღების ცენტრში, როგორც ანტიური კულტურის, დიდი ტრადიციებისა და სილამაზის ქვეყანა. ვინ არ უძღვდა მას გულის სიღრმეიდან წამოსული წრფილი სიტყვები — ძველი ელადის პოეტებითა და მოგზაურებით დაწვეული, თანამედროვე უხუცელი მწერლებითა და სხვადასხვა დარგის მოღვაწეებით დამთავრებული!

უნებრად მაგონდება ბრახილიელი პოეტი ქალის სელენი დი მედეირისის სიტყვები საქართველოზე: „ბავშვობიდანვე მიყვარხარ საქართველო! კაცობრიობის პირველმა პოეტებმა მომიხბრეს შენს ლეგენდებზე. მე შენ გაგიცანი მომეროსის „ოღისეთი“, კოლხეთზე შექმნილი ლეგენდებითა და თქმულეებებით თქროს საწმისზე. შინ ჩემთან იყავ, საქართველო, ჩემს ბავშვობაში. დღეიდან კი ჩემს ცხოვრებაში მამუდამოდ დამკეიდრი“.

ანალოგიური განწყობილების გამოხმაკველი კიდევ რამდენი გამონათქვამის მოყვანა შეიძლება!

„მსოფლიოში ყველაზე უღამაზესი ხალხით დასახლებული ქვეყანა, საქართველო“ (იხ. ფრანგული ლექსიკონი „მცირე ლარსი“) არა მარტო ბუნების სიტურფით და სხვა ეროვნების ადამიანებისადმი პატივისცემის უაგატო გრძობებით იზიდავდა უცხოელებს, არამედ აგრეთვე მადალმხატვრული მწერლობით, ნახტივი ხელოვნებით, მეცნიერული აზროვნების სიღადით.

ქართველი ხალხის მადალი კულტურის ტრადიციული სახე მსოფლიო ცვილიზებული სამყაროს წინაშე განსაკუთრებ-

ბული სიღადითა და მშვენიერებით გამოჩნდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ პერიოდიდან ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭი, მისი სულისა და გონების ცხოველყოფელი ნაყოფი ძალზე შორს გასცდა მშობლიურ საზღვრებს, ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ქართული კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო რეზონანსს მთელი ძალით ეხმარება ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფიის შემოქმედთა შრომა და ღვაწლი, მათი ღრმა შინაარსინი და მხატვრულობით გამორჩეული ნაწარმოებები, როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები.

ქართველ კინოხელოვანთა ნაწარმოებების უმეტესმა ნაწილმა შექმნის პირველი დღეებიდანვე გაეცაფა გზა საერთაშორისო ეკრანზე, დიპყრო უცხოელ მაყურებელთა ყურადღება, იმთავითვე საგრეტლობდა დიდი პოპულარობითა და სიმპათიით. ჩემი სტუდენტობის პერიოდში, კინოსტორიკოსის, პროფესორ თიოფანე შიპულინსკის ლექციებზე, ფრანგული კინოხელოვნების ისტორიის შესწავლისას, არა ერთხელ მინახავს ფრანგი კინოწარმოებლის შარლ პატეს კინოფურნალები, ე. წ. „პატეურნალი“. მათში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ჩვენი კინემატოგრაფიის სახელმძხვველი ოსტატის ალექსანდრე დილმურლის (დილმულოვის) კინოსიუჟეტებს, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრების ზოგიერთ დამახასიათებელ მომენტებს ასახავდნენ. ამ სურათებს ა. დილმურლი რეგულუკიადვე, კერძო კინოთეატრის მფლობელ ნ. ივანიცაიასთან კინოშეწარმისათვის

4. „საბჭოთა ხელოვნება“, № 10. 1967.



მუშაობის დროს იღებდა. ასეთი იყო იმ დროისათვის საკმაოდ კარგი გემოვნებით გადაღებული სიუჟეტები: „კურორტ ბორჯომის ხელები“, „აბასთუმანი“, „მტკვრის ხეობა“ და სხვა ხედითი ხასიათის სიუჟეტები, რომლებიც მასალის გააზრების თვალსაზრისით და გადაღების ტექნიკით მეგრად მაღლა იდგა, ვიდრე თვით პატეს კინოოპერატორების მიერ იმ პერიოდში გადაღებული, ქართული ყოფის ამსახავი კინოსიუჟეტები: „ქეიფი ორთაჭალის ბაღში“, „ღრეობა მცურავ ტივებზე“, „კინტოების კრივი“ და სხვ.



1912 წელს, პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასილ ამასუქელმა გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი კინონარკვევი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“, რომელმაც გამოსწვლის პირველსავე წელს მოინახულა მუცდენის, ხარბინის, კონსტანტინოპოლისა და სხვა შორეული, უცხო ქალაქების კვრანები. როგორც ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლადო ზუგანელი გადმოგვცემს, „აკაკის მოგზაურობას“ დღეი წინამატება ჰქონდა უცხოეთში როგორც იქ მცხოვრებ ქართველთა, ისე არა ქართველ მაცურებელთა შორის.



1915 წლის ეურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მოწინავე წერილში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი წერდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ სხვა ორგანიზაციამ აიღოს ინიციატივა, შექმნას კინოსურათი ქართველი ხალხის ცხოვრებიდან, რათა ჩვენი ყოფა უცხო ქვეყანასაც გააცნოს“. მაგრამ იმ დროს ამ ოცნებას განხორციელება არ უწერა.

ქართული ფილმის ექსპორტაცა უცხოეთში, როგორც სხვა ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის განმტკიცების ერთ-ერთმა სახეობამ, სისტემატური ხასიათი მიიღო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის კინოსექციამ, თავისი მუშაობის პირველ დღეებშივე სხვა ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვან პლანზე დააყენა უცხოეთში ქართული ფილმის ექსპორტის საკითხი.

პირველი საბჭოთა ქართული ფილმი, რომელიც ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში გაიგზავნა, იყო რეჟისორ ი. პერესტანის კინოსურათი „სურამის ციხე“. ფილმი პირველია იმითაც, რომ მისი წარწერები გაკეთებული იყო სპარსულ, არაბულ და თურქულ ენებზე და ამ სახით მიდიოდა შესატყვის ქვეყნებში.



1923 წელს, საქართველოს სახელმწიფო სააქციონერო საზოგადოების — „სახკინმრეწვის“ ჩამოყალიბების დღეებში, განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ქართული ფილმების გაგზავნისათვის უცხოეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საკითხს. განსაკუთრებით ეგროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ მიზნით პარიზში, ბერლინში, თეირანსა და სხვა ქალაქებში სპეციალური მისიით წარგზავნილ იქნა „სახკინმრეწვის“ გამგეობის მამნიდელი თავმჯდომარე გერმანე გოგითიძე.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის წარმომადგენლის ამოცანა იყო ხელშეკრულება დაედო ცალკეულ კინოფირმებთან როგორც ქართული ფილმების უცხოეთში გაყიდვის, ისე


უცხოური ფილმების საქართველოში შემოტანაზე. მან ეს მისია წარმატებით შეასრულა. დადებული იქნა ხელშეკრულება პარიზის, ბერლინისა და თეირანის კინოთეატრების მფლობელებთან ქართული ფილმების — „სურამის ციხის“, „მამის მკვლელის“, „სამი სიცოცხლისა“ და სხვათა დემონსტრაციისათვის მათ კინოთეატრებში. ამის საფუძველზე 1925 წლის აპრილში ბერლინში უკვე დაიწყო „მამის მკვლელის“ დემონსტრაცია. ამავე წლის დეკემბერში სპარსეთის კინოთეატრებში უკვე უჩვენებდნენ „სამ სიცოცხლეს“, „სურამის ციხეს“ და სხვა ფილმებს.

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა პარიზში ფილმებს ნატო ვანნადის მონაწილეობით — „მამის მკვლელს“, „სამ სიცოცხლეს“, „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმეს“. რეჟისორის ასისტენტი ნ. მეტრეველი გადმოგვცემდა, რომ ამ ფილმების ფოტოგრაფები ნატო ვანნადის მონაწილეობით ხელიდან ხელში გადადიოდა და ერთ ფრანკზე მეტადაც ფასობდა.

ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ოციანი წლების პირველი ნახევრის ფილმებიდან, ზემოთ აღნიშნული ფილმების გარდა, საერთაშორისო ვერანზე ყურადღებას იპყრობენ ა. ბეკნაზაროვის „ნათელა“, ვ. ბარსკის „თავადის ასული მერი“ და „ბელა“, ნ. შენგელაიას და ლ. პუშის „გიული“, ხოლო მეორე ნახევრის კინოსურათებიდან განსაკუთრებით ნ. შენგელაიას ფილმი „ელისო“ მიდიოდა წარმატებით.

1929 წელს ქ. შტუდგარდტში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა ფილმებთან „ძველი და ახალი“ (რეჟ. ს. ვიზნშტეინი), „ჩინგის-ხანის შთამომავალი“ (რეჟ. ვ. პუდლოვინი), „არსენალი“ (რეჟ. ა. დოვჟენკო) და სხვა სურათებთან ერთად, ფილმმა „ელისო“ თავისი თემატიკით, მხატვრული კინემატოგრაფიული ხერხების ორიგინალობითა და გეზუნბარე ტექნიკამენტით საერთო ყურადღება მიიპყრო და მსოფლიო შედეგებს გაუტოლდა. შეიძლება ითქვას, რომ „ელისო“ პირველი ქართული კინონაწარმოებია, რომელიც ფილმების საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს და მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ოციან წლებში ქართული ფილმების დემონსტრაციის შესახებ ჩეხოსლოვაკიაში, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ახალგაზრდა ჩეხი კინოკრიტიკოსი, პარაის კინოხელოვნების კავადემიის თანამშრომელი პეტრე სადევცკი. თავის პირად ბარათში ქართული ეროვნული კინოპროდუქციის ჩეხოსლოვაკიაში დემონსტრაციის შესახებ იგი მწერს: „1927 წლის 11 მარტიდან კინოთეატრ „კონვერტი“ აჩვენებს „მთის კანიონი“, ხოლო ამავე წლის 7 ოქტომბრიდან „ლიდოში“, „მეტროში“, „რადიოსა“ და სხვა კინოთეატრებში ჩვენნი მაყურებელი ნახულობს „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმეს“, „არსენალს“, „ნათელას“ და სხვ. უკეთეს რა ზოგად მიმოხილვას ამ ფილმებს, ავტორი დასკვნის, რომ რევოლუციამდელ ჩეხოსლოვაკიაში ვ. ი. 1945 წლამდე, როცა ძველი ჩეხოსლოვაკიის მკაცრი პოლიტიკურ პირობებში ძალზე ძნელი იყო საბჭოთა კინოსურათების ნახვა, ქართული ფილმები „იყვნენ ის მერცხლები, რომლებმაც ჩეხოსლოვაკიაში კავკასიიდან პირველად შეაღწიეს“.







რე ხალხთა მეომრებს, ვერაც დამპყრობთა გასანადგურებლად აღაფრთოვანებდა. ფილმის მიმოიხედვლობა არც ომისშემდგომ შინელებულა, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი სრული ანშლაგებით მიდიოდა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იტალიისა და ვეროპის სხვა სახელმწიფოებში.

1951 წელს ფილმს უჩვენებდნენ ბუდაპეშტის ეკრანებზე. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „კინეველეში“<sup>1</sup> წერდა: „საბჭოთა კინემატოგრაფიის ბრწყინვალე ნაწარმოები „გიგორგი სააკაძე“ არის ის შესანიშნავი ისტორიული მასალა, რომლის შესწავლაც აუცილებელია ჩვენი მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის“. წერილი მიმოიხილავს უნგრეთისა და საქართველოს ისტორიულ წარსულს, პარალელს ავლებს ამ ორი, ერთი-მეორის ტერიტორიალურად ძალზე დამოკიდებულ ქვეყნის ხალხთა ბრძოლებს შორის თავიანთი დამოუკიდებლობისათვის და დასძენს: „ეს ფილმი იქმნებოდა დიდი სამამულო ომის პერიოდში, თვით ეს ფაქტიც კი ლაპარაკობს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომსაც საბჭოთა ხალხი თავისი გმირული წარსულის მემკვიდრეობას ანიჭებს, ლაპარაკობს იმაზე, თუ რა სიყვარულით ინახავს იგი თავისი წარსულის პრეგრესულ გმირთა ხსოვნას“<sup>2</sup>.

საზოგადოებრიობისა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა „ჯურღლის ფარმაც“. ბულგარეთის ჟურნალი „კინო ი ფოტო“ დეტალურად განიხილავს რა ფილმის მხატვრულ იდეურ ღირსებას, მის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა ხალხის სამამულო ომის დღეებში, დასძენს: „ფილმში როგორც მუსიკა, ისე ცხვენილ ხელს უწყობს ძირითადი იდეის გამკვლინებას, მისავალმხრივად ვიხიბავენ საბჭოთა ადამიანებს, მათ გმირობასა და განუსაზღვრელ სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი. ფილმი სათუთა ოპტიმიზმი. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლავს იმაზე, თუ როგორ უნდა დაეკავშიროთ მხატვრული ნაწარმოები ხალხის გმირულ წარსულთან და გმირული შრომით აღსავსე თანამედროვეობასთან“<sup>3</sup>.

ომისშემდგომ დროინდელი ფილმებიდან, რომელიც საერთაშორისო ფესტივალებზე პირველად გაიგია და უდიდესი წარმატება მოიპოვა, იყო მიხეილ ჭიაურელის ფილმი „ფიცი“. იგი მონაწილეობდა 1946 წელს ვენეციის გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. ფილმმა პირველი პაემია და ოქროსი მენდალი მიიღო. ეს მაღალი ჯილდო, გარდა მისი დიდი პოლიტიკურ-იდეური მიზანდასახულებისა, ეწყარბოდა კინოსუბათის ბრწყინვალე რეჟისორულ ხელოვნებასა და სხვა შემოქმედებითი კომპონენტების მაღალმხატვრულ ღირსებებს, რომელიც აღიარებული იქნა არა მარტო ფესტივალის ჟიურის, არამედ ევროპის ყველა მოწინავე ქვეყნის პრესის მიერაც. გამოჩენილი უნგრელი კინოკრიტიკოსი ბელა ბალაში წერდა: „ფიცი“ საბჭოთა ხალხის გმირული თემაა, ამ ფილმში დიდი როლს ერწყობს სახვითი ხელოვნების ორი მნიშვნელოვანი გერმანია და ფართო ისტორიული პერსპექტივები, განწყობილებათა ნატიფი ელფერი და გიგანტური ომუნენტურობა. ეს არის საბჭოთა ფილმის თავისებურება, იმისათვის, რომ ეს

უცხო სახელმწიფოთა ანტიხალხური რეჟიმის გარდა, დუბლირების ტექნიკური დაბრკოლებების მიზეზით, ოცდაათიანი წლებში ქართული ფილმების ექსპორტი შორეულ ქვეყნებში ძალზე შეუსუსტდა. ხმის მოსვლამ, როგორც ერთ-ერთმა მძლავრმა მხატვრულმა კომპონენტმა, ერთის მხრივ, თუ ხელი შეუწყო ფილმების აზრობრუნებას და მხატვრულ სრულყოფას, მეორეს მხრივ ძალზე გააძნელა მისი გატანა საერთაშორისო ასპარეზზე. მხოლოდ მაღალი რანგის დიდმა კინემატოგრაფიულმა ტილოებმა მოიპოვეს უფლება შორეულ ეკრანებზე გასულიყვნენ. მათ შორის იყო მიხეილ ჭიაურელის ფილმი „არსენაც“, რომელიც 1938 წლის ოქტომბერში წარმატებით მიდიოდა მთელს მონღოლეთში.

ამ პერიოდის ქართული ფილმებიდან თუმცა ძალზე გვიან, მაგრამ მაინც ომისშემდგომ წლებში საზღვარგარეთის ეკრანებზე გავიდნენ: მ. ჭიაურელის „დიადი განთიადი“, შ. ბერიშვილის „ცხნის ხეობის საუნჯე“, კ. კაპინაშვილის „ქაჯანა“ და სხვ., რომლებმაც საზოგადოებრივი მოწონება დაიმსახურეს.

ჩეხოსლოვაკური ჟურნალი „ლიდვე ნოვინი“, მიესალმებოდა რა ფილმ „დიადი განთიადის“ დემონსტრაციას ჩეხოსლოვაკიის ეკრანზე, წერდა: „მოხილე ჭიაურელი არის პირველი რეჟისორი, რომელმაც შექმნა ფილმი ბოლშევიკური პარტიის რევოლუციამდელ ისტორიაზე“. ფილმის იდეური და მხატვრული ღირსებების ანალიზის შემდეგ გახუთი დასკვნის: „ფილმი... დიადი განთიადი“ — ეს ძლიერი, რევოლუციური და პოლიტიკური, ოსტატურად დადგმული, მხატვრული კინემატოგრაფიული ნაწარმოები, საბჭოთა კინემატოგრაფიის უდიდესი მიღწევაა“<sup>4</sup>.

როგორც ცნობილია, ქართულმა კინემატოგრაფიამ სამამულო ომის დღეებში ორი განსაკუთრებით თვალსაჩინო ფილმი გამოიკვია — „გიგორგი სააკაძე“ (რეჟ. მ. ჭიაურელი) და „ჯურღლის ფარი“ (რეჟ. ს. დოლიძე, და დ. არნოლდი). ამ ფილმებმა, სხვა პატიოტულ ფილმებთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულეს ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლის მიმე დროში. კერძოდ, ფილმი „გიგორგი სააკაძე“ ორი ათასზე მეტი ეგზემპლარი დაიბეჭდა და პირველი შევიდა დამპყრობლებთან გათავისუფლებულ საბჭოთა ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოებში, მას უჩვენებდნენ პარტიზანულთა ნაწილებში, სადაც იგი, როგორც საბჭოთა, ისე სხვა თავისუფლებისმოყვა-

<sup>1</sup> „ლიდვე ნოვინი“, № 73, 1951.

<sup>2</sup> „კინეველეში“, 1951, № 2, 15 ანკარი.  
<sup>3</sup> „კინო ი ფოტო“ № 14, 1950.

არის თავისებურება საბჭოთა ადამიანისა. ახალი სინამდვილიდან დაიბადა ახალი ხელოვნება“<sup>4</sup>.

„ფიცის“ შემდეგ, მიყრდნობა სურათიანობის პერიოდში, საერთაშორისო ეკრანზე გამოვიდა ფილმები „დავით გურამიშვილი“, „ქეთო და კოტე“, „ბედნიერი შეხვედრა“, „გაზაფხული საკენში“.

„დავით გურამიშვილი“ (რეჟ. ნ. სანიშვილი და ბ. თუშანიშვილი) მთელ რიგ ქვეყნებში მიდიოდა სახელშეცვლილი. მაგალითად, 1947 წლის მაისში ქ. ვენაში იგი მიდიოდა სახელწოდებით „საყვარელი კავასიური რაფსოდია“. მაყურებლებს ფილმის საინტერესო შინაარსთან ერთად ხიბლავდა ჭრთველი ხალხის ეროვნული თავისებურება, მაღალი შინაგანი მორალური ძალა, გარგნული მშვენიერება და სიღამაზე, ხოლო მსახიობთა შორის დოღო ჭიჭინაძე (ქეთევანი) და ვ. შაველიძე (დავით გურამიშვილი).

„თბილისის კინემატოგრაფიული კოლექტივის მუშაკებმა და მხატვრებმა შექმნეს სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები, — წურბა გაზეთი „ნაშა მოდა“, — რომელიც ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის ამ ძველი, ნაციონალური კინოსტუდიის ბრწყინვალე პროგრესს. ფილმის ყველა მხატვრული კომპონენტი, რომელიც გურამიშვილს ესება, შერჩეულია გონივრულად და ოსტატურად, რეჟისორული მუშაობა ჩატარებულია კარგად, მუსიკა შესატყვისია და ნაციონალური, დეკორაციები, კოსტუმები, ტიპები და თამაში ნათლად და ზუსტად წარმოგიდგინებს საერთო ატმოსფეროს, XVIII საუკუნის სახლებს, ადამიანებს, რომელთაგან იყო დაკავშირებული მებრძოლი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრება“<sup>5</sup>.

1953 წელს პრალის სცენაზე დაიდგა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“. თითქმის იმავე პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ეკრანებზე გამოვიდა ამავე სახელწოდების ფილმი, დადგმული ვ. ტაბლიაშვილისა და შ. გედევანიშვილის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ფილმის შინაარსი უკვე ცნობილი იყო, მისდამი მაყურებლის ინტერესი არ შენეებულა. თურნალი „სვეტ სოვეტუ“ თავის მკითხველებს მოაგონებდა ოპერა „ქეთო და კოტე“<sup>6</sup> სცენურ დადგმას და კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა უახლოეს ხანში ამ ნაწარმოებს ეკრანზე ნახავდა, არ იფიქრებდა იმასაც, რომ ფილმი შინაწილობას იღებდნენ ნინო რაშიშვილისა და ი. სუხიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლის მსახიობები, რომლებმაც არც თუ ეს დიდი ხნის წინათ თავიანთი ოსტატობით ჩეხოსლოვაკიის მაყურებლებში მოხიბლეს.

ფილმის წარმატება განაპირობა პრესის მაღალმა შეფასებამაც. იმავე წერილში ფილმის ასეთი დახასიათებაა: „ეს ფილმი საცნაო იუმორით, მომეტებული, ზეაწველი სამხრეთის ტემპერამენტით, ადგილობრივი ჩვევების მგრძობიარობითა და პოეტურობით“<sup>7</sup>.

1954 წლის აპრილში „ქეთო და კოტეს“ უკვე ამერიკის ტერიტორიაზე მიატეს ქართული მუსიკის მოხიბვლელი მელოდიები. ნიუ-იორკის ბროდვეიზე ერთ-ერთ დიდ კინოთეატრში



დაიწყო ამ ფილმის დემონსტრაცია. მრავალფერადი სარეკლამო ილუმინაციები და განცხადებები კი მაყურებლებს მოუწოდებდნენ ენახათ ეს მეტად საინტერესო მუსიკალური კინოკომედია, „საამური, ცოცხალი საბჭოთა მუსიკალური ფილმი საქართველოში“<sup>8</sup>. ასე უწოდა „ქეთო და კოტეს“ ამერიკულმა გაზეთმა „დეილი უორკერმა“ და დასძინა: „პოლიფუნს იშვიანთა, თუ რაიმე შეუქმნია ამ მშვენიერების მსგავსი“<sup>9</sup>.

<sup>7</sup> „დეილი უორკერი“, 7 აპრილი, 1954.



<sup>4</sup> „ხევენდ“, 5 დეკემბერი, 1946.

<sup>5</sup> „ნაშა მოდა“ 1947 წლის მაისი.

<sup>6</sup> „სვეტ სოვეტუ“ № 52, 1953.

„ხუ ვილმს „ქეთო და კოტეს“ ამერებულ საქართველოს  
ვეწოდებით ეს გადაამტკებელი არ იქნება, — წერდა პოლო-  
ნური გაზეთი „გლოს შრეკინსკი“<sup>8</sup>.

ამ პერიოდის ქართული სამსახიობო ფილმების დიდ-  
საინო წარმატება ხვდა ავრეთი ენ. სანიშვილის ფილმებს  
„მედნიერი შეხვედრა“ და „გაზაფხული საკენში“, როგორც  
პირველი, ისე მეორე საქართველოს საკულმურნეო ცხოვრე-  
ბის ომისშემდგომ პერიოდს ეჭება. მათ დემონსტრაციას დიდი  
აღმზრდელითა მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით ახალ-  
განთავისუფლებულ, სოციალიზმის გზაზე შემდგარი დემოკრა-  
ტიული ქვეყნების შრომელებისათვის.

პრესამ მაღალი შეფასება მისცა ორივე ფილმს, ბულგა-  
რული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ ფილმისადმი მიძღ-  
ვნილ წერილში აღნიშნავდა: „მედნიერი შეხვედრა“ თავლას-  
ჩინოდ და დამაჯერებლად მოგვიჩირობს საბჭოთა ადამიანე-  
ბის ნათელი და მხარული საკულმურნეო ცხოვრების შესახებ.  
იგი აღსაყვება კომუნისტური შეხედობის დამახასიათებელი  
მშვიდობიანი შრომის პათოსით“<sup>9</sup>. ხოლო გაზეთი „რუდე  
პრავო“ ანალიზს უკეთებს ფილმის დიდ საავტორო, აღმზრ-  
დელით ხასიას სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ახალი  
გარდაქმნების პერიოდში და დასკვნის: „ფილმი „მედნიერი  
შეხვედრა“ ნათლად გვიჩაბა თანამედროვე საქართველოს  
მშვენიერ, შეძლებულ ცხოვრებას. გვიჩვენებს თავისებურებას  
ქართული ხალხისა, რომელიც საბჭოთა ხალხების ერთიან  
მჭურ ოჯახში, თავისი მზიური სამშობლოს თავისუფლების  
მზის ქვეშ მტკიცედ მიაბიჯებს ბრწყინვალე მომავლისაკენ.  
ეს არის აღფრთოვანებული ქებათა-ქება ცხოვრებისა, აღერ-  
სიანი სიმღერა მშვიდობიან შრომაზე“<sup>10</sup>.

პოლონელი კინორეჟისორი ირენა ბერცი თავის ვრცელ  
წერილში „მედნიერი მომავლისა და მოსავლის გაზაფხული“,  
რომელიც ფილმს „გაზაფხული საკენში“ ეძღვნება, ანალიზს  
უკეთებს სურათის ლიტერატურულ პირველ ნაბიჯს ა. გუ-  
ლიას მოთხრობას, მის აქტუალურ შინაარსს, მხატვრულ ღირ-  
